პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 84 (19825) პარასკევი, 10 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მადლობა

წლევანდელ ზამთარში საქართველოს თავს დაატყდა არნახული ძალის სტიქია: მთის რაიონებში ზავებისა და მეწყერების ჩამოწოლის, კოლხეთის დაბლობზე კი წყალდიდობის შედეგად სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მიადგა. იყო მსხვერპლიც.

საბჭოთა ადამიანებმა ეს საკუთარ უბედურებად აღიქვეს. უბედურების პირველი დღეებიდანვე ქვეყნის ყველა რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან ვგრძნობთ დახმარებასა და მხარდაჭერას. კვლავ და კვლავ მოგვდის წერილები თუ დეპეშები, რომლებშიც გვიცხადებენ ღრმა თანაგრძნობას, მზადყოფნას აღდგენითს სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად, რიცხავენ სახსრებს დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

საბჭოთა ხასიათის, ჩვენი ადამიანების ცხოვრების წესისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების, ერთიანი ოჯახის გრძნობის გამოვლინებაა ის გულწრფელი სოლიდარობა, რომელმაც ტკივილი შეუმსუბუქა, ძალა და რწმენა შემატა საქართველოს მშრომელებს, ამ დღეებში სტიქიასთან ახალი შეჭიდებისათვის რომ ემზადებიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უღრმეს მადლობას მოახსენებენ ყველა მოქალაქეს, შრომითს კოლექტივს, საწარმოს, დაწესებულებას, სახწავლებელს, ორგანიზაციას ძმური დახმარებისა და გულითადობისათვის.

საქართველოს მშრომელები არასოდეს დაივიწყებენ მთელი საბჭოთა ხალხის მაღალ მოქალაქეობრიობას, გულწრფელ მხარდაჭერას, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომართა, სამოქალაქო ავიაციის პილოტთა ვაჟკაცობასა და თავდადებას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ უბედურების რაიონებში მაშველ და აღდგენითს სამუშაოებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ოქტომბრიდან ბერლინამდე

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს — დამკვრელური შრომა, ინიციატივა, შემოქმედება

ყოველი ახალი დღე გვიახლოვებს ღირსშესანიშნავ მოვლენას — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს. კარგი ტრადიციისამებრ საბჭოთა ადამიანები ცდილობენ აღნიშნონ იგი ახალი შრომითი მიღწევებით, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ისინი აწარმოებენ შეჯიბრებას ოქტომბრის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის, საწარმოო გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ითქვა, რომ მტკიცედ უნდა გარდაიქმნას სოციალისტური შეჯიბრება ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნების სულისკვეთებით. თანამედროვე პირობებში შრომითი მეტოქეობის მთავარი მიმართულებებია ჩინებული ხარისხისა და მაღალი ტექნიკური დონის პროდუქციის გამოშვება, მატერიალური, ენერგეტიკული და ფინანსური რესურსების დაზოგვა, ნაწარმის ზუსტად ვადაზე და დადებული ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდება. შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ შეჯიბრების ფორმებისა და სახეობების შერჩევას, უზრუნველვყოთ, რომ მისი ორგანიზაციის ლენინური პრინციპები — საჯაროობა, შედეგების შედარებითობა, მოწინავე გამოცდილების გამეორების შესაძლებლობა შუდამ და ყველგან მოქმედებდეს.

დიდი უკუგებით მუშაობენ წელს გაერთიანებები — „ლენპოლიგრაფშანქანა“, ტირასპოლის ბაშმეულის, რიგის „კომპრესორი“, ბელორუსიის რკინიგზა, მთელი რიგი სხვა საწარმოები. მათი სტაბილური მუშაობის საფუძველია მტკიცე ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, კოლექტივის თითოეული წევრის მაღალი შვენება და, რა თქმა უნდა, ზუსტად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება, მოწინავეთა გამოცდილების გამოყენება, ნოვატორთა ინიციატივის აქტიური მხარდაჭერა.

ბევრია ისეთი კოლექტივი, სადაც შეჯიბრება ნამდვილად მეტოქეობაა, მიმდინარეობს შემოქმედებითად, ფართო საჯაროობის ვითარებაში. მაგალითად, დედაქალაქის სამკერვალო გაერთიანება „მოსკოვში“ შექმნილია პირობები იმისათვის, რომ სამუშაოზე მოსულ კაცს შეეძლოს სრულად გამოავლინოს თავისი პროფესიული უნარი. სპეციალურ სტენდებზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას რეგულარულად წარმოადგენენ ბრიგადების ნაკადების, უბნებისა და საამქროების ერთი კვირის, თვის, კვარტალის შრომის შედეგებს. გამარჯვებულთა სამუშაო ადგილებზე გარდამავალი წითელი დროშები და ვიმპელებია. ამის დამსახურება არც ისე ადვილია. საპატიო ტიტულდოებისათვის ბრძოლა შეუპოვარი და აზარტულიც კი არის. შეჯიბრების თითოეული მონაწილის მიღწევების განხილვისას აქცენტდებულობაში იღებენ არა მარტო საწარმოო მაჩვენებლებს, არამედ აგრეთვე სხვებისადმი დახმარებას, ახალგაზრდობისადმი დამრიგებლობას, მთელი კოლექტივის ინტერესებისათვის ზრუნვას. წარმატების საიმართლიანი შეფასება, დამსახურების სახალხო აღიარება, დროული მატერიალური და მორალური ნახალისება განამტკიცებს მოწინავეთა ავტორიტეტს, სხვებსაც აღუძრავს სურვილს მხარი უსწორონ მათ.

დამთავრდა ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტალი. მრეწველობამ დაძლია იანვარში დაშვებული ჩამორჩენა. გაკეთდა ბევრი რამ, მაგრამ არა ყველაფერი. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის, მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის დავალებანი. სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ვერ შეასრულა საგლინავი მოწყობილობისა და თბომავლების წარმოების შეკვეთები, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ — ცვლადი დენის ელექტროძრავების წარმოებისა. მანქანათმშენებლები ვალში არიან ექსკავატორების, სართავი მოწყობილობის მიწოდების მხრივ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო — ბამბის ქსოვილების, შეკერილი და ტყავსაცმელ-ტანსაცმლეულობის ნაწარმის მიწოდების მხრივ.

დაბალი საწარმოო მაჩვენებლები მნიშვნელოვანწილად შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციაში უძრაობის, მის მიერ მებრძოლურობის, შემოქმედებითი საწყისების დაკარგვის შედეგია. ამის შესახებ წერენ „პრავდაში“ მკითხველები. აი რას წერს, მაგალითად, კამის საავტომობილო ქარხნის სამჭედლო ქარხნის მერემონტე ზეინკალი კომუნისტი ი. ჩიუბერკინი: „სოციალისტური შეჯიბრების ახლა არსებული ფორმა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს“. მიაჩნია რა შეჯიბრება საჭირო და დიდმნიშვნელოვან საქმედ, ავტორი დარწმუნებულია — იგი უნდა გახდეს ჩვენი ცხოვრების ნორმა, უფრო აქტიურად შეუტიოს ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმს, მხარი დაუჭიროს ახლს, სასარგებლო შემოქმედებითს ძიებას. ხელოვნად, ძალზე ხშირად აყენებს საკითხს მუშა!

ზოგიერთ საწარმოში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ძირფუძეებიანი გარდაქმნის, დიდფუძემდეგი შრომისათვის ადამიანთა დარაზმვის ნაცვლად, ისევე როგორც ახლო წარსულში, ზემდგომი ორგანოების წყალობის, გეგმების კორექტირების იმედი აქვთ. მაგალითად, გაერთიანება „საქქანახშირის“ ზოგიერთ შახტში გეგმების რეალიზაციაში „წარმატებას“ ზოგჯერ აღწევდნენ... ნამატების შედეგად. ღირს კი იმაზე ლაპარაკი, თუ რა მორალური ზარალი მიადგა თვით შეჯიბრების იდეას... ასეთი ფაქტები არავის მოუტანს სასეს. მეორე მაგალითია ის, რომ ზედიზედ ათი წელია „კრასნოარსკკაჩუნშენის“ სამმართველო ფუშავს ობიექტების ამოქმედებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს. ერთ კაცზე გამოშვებება აქ მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე მხარის სხვა მშენებლობებზე. და მაინც მშენებლობის პარტიული კომიტეტი, კომუნისტები ურიდებიან უძრაობას მრავალი წლის განმავლობაში. განა ეკითხება ამ დროს ლაპარაკი გარდაქმნაზე, დაჩქარებაზე, ქმედითს შრომითს მეტოქეობაზე? რა თქმა უნდა, არა.

შეჯიბრების ეფექტიან მოგვარებას ხშირად ხელს უშლის ნაკლოვანებანი დაგეგმვაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მოძველებულ საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობების შეუწონასწორებლობა, ზოგჯერ კი უბრალოდ პარტნიორი მიმწოდებლების უპასუხისმგებლობა. „პრავდის“ ფოსტაში მივიღეთ ერთ-ერთი დეპეშა, გაერთიანება „ეორკტეკ“ ჩიუის: ეეშარტის ფანერის კომბინატმა (კომის ასსრ) სამ თვეში მას გაუგზავნა დადგენილზე ორჯერ ნაკლები ხე-ტყე. მეავეჯეები ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ჩაეფუშაო კვარტალური გეგმა, საფრთხე შეექმნა ოქტომბრის იუბილესათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. და მიმწოდებლების, პარტიული ორგანოების, სამინისტროების მისართით გაგზავნილი სიგნალების მიუხედავად საქმე არ უმჯობესდება. რაღა თქმა უნდა, დაკისრებული საქმისადმი მიმწოდებელთა ასეთი დამოკიდებულების პირობებში ძნელია მოაგვარო რიტმული, ხარისხოვანი მუშაობა, მიაღწიო წარმატებებს შეჯიბრებაში.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მთელ რიგ კოლექტივებში შეჯიბრება ბრალიდ ფორმალურად კი არ არის ორგანიზებული, საერთოდ არ არსებობს. პოფკავშირების დარგობრივ და ტერიტორიულ საბჭოთა და კომიტეტებს თავიანთ როლად ხშირად მიაჩნიათ მხოლოდ მრავალფეროვანი ცნობების, კრებების, ანგარიშების შედგენა. შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის ასეთი სტილი დროა არქივს ჩავაბაროთ.

შრომითი მეტოქეობის ორგანიზატორებმა ცოცხალი მუშაობა უნდა აწარმოონ ადამიანებთან წარმოებაში. დღეს კოლექტივებში ხდება გარდაქმნის სულისკვეთების შესაბამისი სწორედ ეკონომიური შეჯიბრების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლილი შეჯიბრების ახალი ფორმები, დროულად შევნიშნოთ საგრეველო ინიციატივა, მხარი დაუჭიროთ მას — ეს არის პარტიული ორგანოების, პრესის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისას უფრო მჭიდროდ უნდა დაკავშირდეს იგი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. ამას, ვინც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევს შრომაში, უნდა მივნიჭებდეთ უპირატესობა სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. თითოეულმა მტკიცედ უნდა იცოდეს: კარგად იმუშავებ — გექნება პრემია, დასასვენებელი სახლის საგზური, სხვებზე ადრე მიიღებ ბინას. ცუდად იმუშავებ და საკუთარ თავს დააბრალე.. პატივი ეთქმის შრომის მიხედვით არის!

კომუნისტებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ საოთავეში ედგნენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებას, იქონიონ ეფექტიანი ზეგავლენა ბრიგადების ნაკადებზე, ეფექტიანად ებრძოლონ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმს, ეფექტიანად ებრძოლონ ბოროტებებს, ხელი შეუწყონ ეკონომიკური ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ტიპზე გადასვლის ამოცანების გადაწყვეტას, ეფექტიანად ებრძოლონ ბოროტებებს, ხელი შეუწყონ ეკონომიკური ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ტიპზე გადასვლის ამოცანების გადაწყვეტას, ეფექტიანად ებრძოლონ ბოროტებებს, ხელი შეუწყონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, სკკპ XXVII ყრილობის ეკადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ღირსეულად შეეხვდეთ პირველ მაისს

▲▲

გელათის სატრანსფორმატორო ქარხნის კოლექტივს სახელშეკრულებო ვალდებულებათა სისტემატური შესრულების უზრუნველყოფაში დაეხმარა წარმოებაში დარგის მასშტაბით განხორციელებული ექსპერიმენტის დანერგვა. მუშაობენ რა საბოლოო შედეგისათვის, ბრიგადების უმრავლესობამ მიაღწია საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას.

— მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენი ტრანსფორმატორები ჩარხმშენებლობის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის საწარმოებში დადგენილ ვადაში იგზავნება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქარხნის დირექტორმა პ. მეტონიძემ. — ზაპოროჟიელ მეცნიერებთან ერთობლივად ვმუშაობთ უფრო ეფექტიანი

საუკეთესო საგოლოო შედეგებისათვის

პროდუქციის შექმნისათვის. საამისოდ საწარმოში სწრაფი ტემპით წარმოებს უბნების ტექნიკური განახლება.

ქარხანაში კარგად არის მოფიქრებული მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის მუშაკთა მატერიალური სტიმულირების სისტემა. მაგალითად, მარტო მარშან თავგამოჩენილი მშრომელებისათვის გამოიყო 60 ათას მანეთზე მეტი. ამასთან ერთად წუნისმკეთებლები მატერიალურად ზარალდებიან.

შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმაში ჩაბმულია საწარმოში მომუშავეთა დაახლოებით 70 პროცენტი. უახლოეს ხანს ქარხნის მუშაკები აპირებენ გაზარდონ ეს მაჩვენებელი, რითაც მთლიანად აღმოფხვრიან წარმოებაში ზენორმატიულ ნაშთებს და წლეულს გამოუშვებენ 4,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მაღალხარისხოვან პროდუქციას. მუშათა დიდი ნაწილი ჩაბმულია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

მ. კილაძე,
საქინფორმის კორ.

შაბათობა გვიხვეობს

▼▼

ერთსულოვნად

ბათუმი. (საკ. კორ.) აჭარის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მშრომელებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 117-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში დიდნაყოფიერად იშრომონ. ამ დღეს სამუშაოდ გამოვა 400-ზე მეტი კაცი. ისინი გადაზიდავენ 20 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს. მთლიანად ავტოსატრანსპორტო გაერთიანების კოლექტივი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს 10 ათას მანეთს.

ასე ფიქრობენ ქიმიკოსები

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონის შრომის კოლექტივებში დაიწყო მზადება ლენინური შაბათობის ორგანიზებული მოწყობისათვის. რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მუშაკების მთავარი აყურადღება მიექცევა სახალხო მეურნეობისათვის ძეძაღ საჭირო ქიმიური პრეპარატების გამოშვებას. სულ შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 650 კაცი. აქედან 300 მშრომელი უშუალოდ პროდუქციის გამოშვებაზე იმუშავებს და 26 ათასი მანეთის ქიმიურ ნედლეულს დაამზადებს. ქიმიკოსები ხუთწლედის ფონდში დაახლოებით 1600 მანეთს გადარიცხავენ.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ქარხნის კოლექტივს გათვალისწინებული აქვს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მუშამოსამსახურეთა ერთი ნაწილი იმუშავებს დიდთოვლობისაგან მოყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

სანაქებოდ იშრომებენ

მახარაძე. (საკ. კორ.). ბაროსამრეწველო გაერთიანების მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს კოლექტივი დროულად გამოეხმაურა მოწინავე საწარმოთა კოლექტივების თაოსნობას ლენინური შაბათობის მოწყობისათვის.

18 აპრილს კომუნისტურ შაბათობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს 140 კაცი, რომლებიც დასაქმებული იქნებიან თავიანთ ძირითად სამუშაოზე, სულ შესრულდება 7.100 მანეთის სამუშაო. აქედან ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 450 მანეთი.

მეგობრობისა და ძმობის ვიზიტი

მ. ს. გორბაჩოვი პრაღაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი 9 აპრილს მოსკოვიდან პრაღაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ჰ. ა. ალიევმა, ა. ა. გრომიკომ, ი. კ. ლიგაჩოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ე. ა. შევარდნაძემ, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ვ. ი. დოლგიხმა, ბ. ნ. ელცინმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, ს. ლ. სოკოლოვმა, ნ. ვ. ტალიზინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ა. ჰ. ბირიუკოვმა, ა. თ. დობრინინმა, ა. ი. ლუკიანოვმა, ვ. პ. ნიკონოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ზ. ჩერნი, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

პრაღა, 9 აპრილი. (საკ. ინფ. „სპეციალური“ კორესპონდენტები ა. ბელიკოვი, ი. ტრუშინი, გ. შიშკინი). დღეს მ. ს. გორბაჩოვი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მოიწვია, პრაღაში ჩამოვიდა.

10 საათი და 50 წუთია ადგილობრივი დროით. რუზინეს აეროდრომმა ეს-ეს არის მიიღო ილ-62 ავიალაინერი, რომელიც ამ წუთებში უახლოვდება შეხვედრის საზეიმო ცერემონიის ადგილს. გაზაფხულის ნიავი აფრიალებს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო დროშებს. აეროპორტის შენობაზე გამოკრულია ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის სადიდებელი სიტყვები. საფრენ მოედანზე ჩამწკრივებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული.

თვითმფრინავთან მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს გულთადად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი.

საბჭოთა ხელმძღვანელსა და მის მეუღლეს მიართვეს ყვავილები. ბავშვთა ხელით გაწვდილი ხასხასა თაიგულები არის ყოველივე ნათელის სიმბოლო, წრფელი გულთადობისა და სტუმართმოყვარეობის ნიშანი. მიხეილ სერგეს ძე წამით შეჩერდა ნორჩ პიონერებთან. ერთ-ერთმა გოგონამ, გაბა ვოსლარეოვამ, მიმართა რა გენერალურ მდივანს, რუსულ ენაზე თქვა: „მიხეილ სერგეს ძეო, ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენთან ჩამობრძანდით. ჩვენი ხალხი აფასებს საბჭოთა კავშირთან მეგობრობას. გისურვებთ წარმატებებს!“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიესალმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ლ. შტროუგალს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებსა და სამდივნოს წევრებს.

მ. ს. გორბაჩოვმა და გ. ჰუსაკმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწკრივს. ორკესტრმა შესრულა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. საპატიო ყარაულს უფროსმა პატაჟი ჩაუბარა საბჭოთა ხელმძღვანელს.

მიხეილ სერგეს ძეს წარუდგინეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“ — ერთხმად გაისმოდნენ პრაღელი მშრომელები, რომლებსაც უახლოვდებიან მ. ს. გორბაჩოვი და გ. ჰუსაკი.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები სხდებიან ავტომანქანაში და მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით მიემართებიან პრაღის კრემლში, სადაც ვიზიტის დროს იქნება საბჭოთა სტუმრის რეზიდენცია.

კორტეჟის გზაზე პრაღისა და მისი გარეუბნების ასიათასობით მცხოვრები მხურვალედ მიესალმებოდა მ. ს. გორბაჩოვსა და გ. ჰუსაკს.

სურათზე: მოსკოვი. გაცილება აეროდრომზე.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა უწოდეს ვიზიტს მოსკოველმა მეტრომშენებლებმა ე. დ. მარტინოვმა და მისმა პრაღელმა კოლეგამ ინჟინერმა ირჟი ბელოგლავამ. მათ ინტერვიუ ჩამოვართვით სამუშაო ადგილებზე... მიწის ქვეშ. ორი წლის წინათ ევგენი პრაღაში მუშაობდა, ირჟი კი მეთაურობდა მშენებელთა ჯგუფს მოსკოვში. „მოსკოვის“ სადგური მარტინოვმა და მისმა ამხანაგებმა ისე ოსტატურად მოაპირკეთეს კარელიური გრანიტით, უნალური და იმიერბაიკალური მარმარილოთი, რომ იგი მეტად მომთხოვნ პრაღელებსაც კი მოეწონათ. ბელოგლავმა კი კეთილი სახელი დატოვა მოსკოვში: ცნობილი ჩეხოსლოვაკიური კერამიკით — ჰიქურით მოპირკეთებული სადგური „პრაღა“ უკანასკნელი წლების საუკეთესო მეტროსასახლედ არის აღიარებული.

— ამ მუშაობამ, — მიაჩნია ევგენი დმიტრის ძეს, — შესამჩნევი კვალი დააჩნია მეტრომშენის თითოეული წარმოგზავნილის ცხოვრებას. ორი ინტერნაციონალური ბრიგადის ერთობლივმა შრომამ ბევრი საინტერესო სიახლე წარმოშვა. საერთო ძალებით, მაგალითად, სრულყოფილია სამთო-გვირაბგამყვანი ფარების კონსტრუქცია, მოდერნიზებულია ბლოკამწყობები. მეგობრობა ყოველთვის ეხმარება საქმეს. დაე მეტი იყოს ასეთი კეთილი სამუშაო ხიდები, რომლებსაც ვაშენებთ. როგორც მესმის, სწორედ უფრო მაგარი ხიდების გადება, ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის გეგმების კოორდინაცია არის უმაღლესი დონის მომავალი მოლაპარაკების მიზანი.

— პრაღელი მუშები, — თქვა ი. ბელოგლავმა, — დიდი ინტერესით ელიან საბჭოთა ხელმძღვანელთან შეხვედრას. ჩვენ ყოველთვის ყურადღებით ვადევნებთ თვალს მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობას, თანაც იმის მიუხედავად, ვლადივოსტოკია ეს თუ უნგრეთი, ინდოეთი თუ საბჭოთა ბალტიისპირეთი... ჩვენ თანაბრად გვაინტერესებს მისი თვალსაზრისი საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაზე, იქნება ისინი საშინაო თუ საერთაშორისო ხასიათისა. მისი ახალი მიდგომა, დარწმუნებული ვარ, ხშირად ძნელ მდგომარეობაში აყენებს იმათ, ვინც ჩვეული სტერეოტიპებით აზროვნებს. ახლა კი ისეთი დროა, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნების გარეშე ნახევარ ნაბიჯსაც კი ვერ წადგამ წინ.

კრემლის მოედანზე ჩამწკრივებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა საპატიო ყარაული. ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ყარაულის უფროსი პატაჟს აბარებს საბჭოთა ხელმძღვანელს.

ვიზიტის ხასიათის განსაზღვრის ერთიან რიგს — ოფიციალური მეგობრული — შეგვიძლია სამართლიანად დავუმატოთ: საქმიანი, სამუშაო. მჭიდრო და ვრცელი პროგრამა ითვალისწინებს ფართო სპექტრის საკითხთა განხილვას სულ სხვადასხვა სფეროში — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და სლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობასთან, მუშებთან და სპეციალისტებთან, გლეხებთან და მეცნიერებთან. ტრადიციულად გულწრფელი, ამხანაგური ბუნება, აზრთა „გაზიარება საზოგადოებრივი განვითარების პრობლემების გადაჭრისადმი მიდგომაში ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რადგან იმაზე, თუ როგორ შეეძლებთ მშრომელი ადამიანის სამსახურში ჩავაყენოთ სოციალიზმის უზარმაზარი რეზერვები და შესაძლებლობანი, დამოკიდებულია მსოფლიოში მოვლენათა მიმდინარეობაზე, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაზე მისი რეალური ზემოქმედების წარმატება.

ორი სახელმწიფოს ინტერნაციონალური ურთიერთმოქმედების გაღრმავების, ინტენსიური რელსებზე მისი გადაყვანის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმის განახლების საკითხებს — უმაღლესი დონის მომავალი მოლაპარაკების სწორედ ამ, კონსტრუქციულ მხარეთა აქტუალურობას აღნიშნავენ თავიანთ კომენტარებში პრაღისა და ბრატისლავის დღევანდელი გაზეთები.

• • •

ამავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გვირგვინით შეამკო ვიტკოვის ბორცვზე დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მის ალისფერ ლენტზე წარწერილია: „ჩეხოსლოვაკიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა მებრძოლის ხსოვნის აღსანიშნავად“.

საბჭოთა ხელმძღვანელი ეწვია ჟიჟკოვ პანთეონს და ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი გამოჩენილი შვილის, ქვეყნის პირველი მუშა პრეზიდენტის საფლავის ქვა ყვავილებით შეამკო. ლენტზე წარწერილია: „კლემენტ გოტვალდს — რევოლუციონერს, კომუნისტს, პატრიოტს“. ორკესტრმა შეასრულა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

შემდეგ დაათვალიერეს საბჭოთა არმიის ძეგლი. წმინდად ინახავს ჩეხოსლოვაკიელი ხალხი ომის წლებში ჩვენი მეომრების მამაცობის ხსოვნას. აქ თითოეულმა — იდიმა თუ პატარამ იცის, რომ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან ჩვენს ქვეყნას უდიდესი მსხვერპლის — ასორმოცი ათასზე მეტი ახალგაზრდის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. საბჭოთა მეომრების გმირობის აღსანიშნავად გახსნილი ეს დარბაზი, ისე როგორც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში აღმართული ჩვენი გმირების ბევრი სხვა ძეგლი საბჭოთა ხალხის, მისი შეიარაღებული ძალებისადმი ღრმა პატივისცემის მკაფიო დასტური, ორი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმობის კარგი ნიშანია. სტუმრებმა აქ ყვავილები მოიტანეს. ლენტზე წარწერაა: „ნათელი ხსოვნა საბჭოთა გმირებს“.

ეროვნული ძეგლის დათვალიერების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩაწერა:

„ყოველი ჩეხისა და სლოვაკისათვის ამ წმიდათაწმიდა ადგილზე მეუფლება ღრმა პატივისცემის გრძნობა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელოვანი რევოლუციური და განმათავისუფლებელი ტრადიციებისადმი. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკიაში სათუთად ინახავენ საბჭოთა მეომრების ხსოვნას, რომლებმაც თავი დადეს ფაშისტთა ბატონობისაგან ევროპის ხსნისათვის.

ჩვენ ახლა ერთად ვაშენებთ ახალ საზოგადოებას, ერთად ვავითარებთ ჩვენს ნაყოფიერ თანამშრომლობას, ერთად ვიბრძვით ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესისათვის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებმა აამოქმედეს სოციალიზმის მძლავრი გამაერთიანებელი ალმშენებლობითი ძალები, და ეს ჩვენი მომავალ ხალხების მამაცი შვილების ხსოვნის დაფასების საუკეთესო გამოხატულებაა.

შემდეგ გენერალური მდივანი იყო ოლმანის სასაფლაზე და გვირგვინით შეამკო საბჭოთა მეომრების ძეგლი. გვირგვინის ლენტზე წარწერილია: „საბჭოთა გმირ მეომრებს, რომლებმაც თავი დადეს ფაშისტ დამპყრობელთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისთვის“.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიალის დროს გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

• • •

გვირგვინებით შემკობის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა პრაღელებს:

მ. ს. გორბაჩოვი: პრაღა მშვენიერია, მაგრამ აქ ოლმანის სასაფლაოზე, შეშფოთება გეუფლება. დიდი შეშფოთება. ჩვენთვის, პლანეტის მცხოვრებთათვის რა თქმა უნდა მთავარია, ომი არ განმეორდეს.

ლიზა ტამბინოვა: ომი ყოველთვის საზარელია. მოზრდილებისთვისაც და ბავშვებისთვისაც, ოთხჯერ ვიყავი საბჭოთა კავშირში, სადაც ჩემი ქმარი მუშაობდა. ვიცი, რა მსხვ

წინადადებები, შენიშვნები

ხელმძღვანელობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ბევრი მათგანი ათეული წლების განმავლობაში ასრულებს ამ საპატიო მოვალეობას და არცთუ ურიგოდ. მაგრამ ხომ შეიძლება დროთა განმავლობაში კოლექტივში გამოჩნდეს მასზე უკეთესი — უფრო უნარიანი, შორსმჭვრეტელი, ასე ვთქვათ, უფრო დიდი მასშტაბის პიროვნება. მაგრამ ასეთ კადრს, არსებული წესის მიხედვით, წინსვლის გზა — თუ მისი წინამორბედი პენსიაში არ გავიდა ან სხვაგან არ გადაიყვანეს — პრაქტიკულად დახშული აქვს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ყველა ხელმძღვანელი ირჩეოდეს გარკვეული ვადით და, რა თქმა უნდა, დახურული კენჭისყრით. კანდიდატურა ორზე ნაკლები არ უნდა იყოს;

ტ. ტაბატაძე,
ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სრულიად მართებულია, რომ გარდაქმნის ამოსავალ წერტილად პარტიის კადრები მიიჩნია. მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებიც არ ერიდებიან მოქალაქეთა კანონიერი უფლებების შელახვას, სავსებით უგულებელყოფენ იურიდიული სამსახურების, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და კადრების განყოფილებების აზრს, მათ არა ქვთ საკმარისი სამართლებრივი განათლება. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია კადრების ატესტაციის დროს კვალიფიკაციის ერთერთ განმსაზღვრელ პირობად ჩაითვალოს ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დონე.

მ. შავაძე,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი.

მე რიგითი მეუახტე ვარ და კარგად ვიცი, რომ მიწისქვეშა სანგრევში სამუშაოდ ყველას არ ჩაუშვებენ, იქ ისეთი მუშები მიდიან, რომლებმაც საუკეთესოდ იციან საქმე, ფლობენ ქვანახშირის მონგრევის ხერხებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ კოლექტივის ხელმძღვანელობას ანდობენ მოუმწიფებელ პირებს, რომლებიც საზოგადოებრივ საქმეს ზერელედ ეკიდებიან.

ჩემი აზრით, ყველა ხელმძღვანელის აუცილებელი თვისება ის უნდა იყოს, რომ მზრუნველობით ეკიდებოდეს ადამიანებს. ეს თვისება მას ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი.

თ. დარიბერიძე,
ქ. ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის მუშა, სკკპ წევრი.

კადრების სწორი აღზრდა, უწინარეს ყოვლისა, განათლების სისტემაში იღებს სათავეს. კომპეტენტურ და საქმიან კადრებს სრულყოფილი მართვის მეტი გარანტია აქვთ.

განუკითხაობამ და მომკითხველობის შესუსტებამ, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროს, განათლების სისტემასაც დაჩნია უარყოფითი დაღი, მნიშვნელოვანწილად შეირყა კადრების აღზრდის პრინციპები.

თუ კი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საწარმოები გადაგვყავს სახელმწიფო მიღებაზე, ერიგო არ იქნება განათლების სისტემაც მოვამზადოთ სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად.

მ. მარტაშვილი,
გურჯაანის I საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი.

მომთხოვნელობის პოზიციიდან

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი „აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან“.

— მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი გარკვეული დადებითი შედეგებით დამთავრდა, — აღნიშნა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ, — მაგრამ ყველა ჩვენგანმა ღრმად უნდა შევიგნოთ, რომ ყველაფერი, რასაც დღემდე ვაკეთებდით, ჯერ კიდევ გარდაქმნა არ არის, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმ გზაზე, რომელიც დაგვისახეს სკკპ XXVII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1987 წლის იანვრის პლენუმებმა...

მიღწეული შედეგების შეფასებისადმი მხოლოდ შკაცრი მიდგომა როდია საკმარისი, აქტუალური პრობლემების ტრადიციული, მოძველებული მეთოდით გადაწყვეტაც დღეს უკვე შეუძლებელი გახდა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ცალკეული საწარმოო კოლექტივების ურიტმო მუშაობა. გარდაქმნის პირობებში ადგილებზე საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული კადრების სწორ შერჩევასა და განაწილებაზე. აანალიზებდნენ რა საქმის ვითარებას მრეწველობაში, კაპიტალურ მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში, მომხსენებელი და კამთის მონაწილეები ნაკლოვანებებსა და მიღწევებს განიხილავდნენ ხელმძღვანელი მუშაკების ორგანიზატორული მუშაობის თვალსაზრისით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ შრომითი კოლექტივების საქმიანობას, სადაც ცოტა რამ კეთდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ასეთი მიდგომა იმის შედეგია, რომ ავტონომიური რესპუბლიკის 106 საწარმოდან და გაერთიანებიდან მხოლოდ 5-6 არის მზად ახლო მომავალში გადავიდეს მთლიან სამეურნეო ანგარიშზე.

პარტიის სოხუმის, გუდაუთის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა, აგრეთვე აფხაზეთის აგროსამრეწველო კომპლექსის პასუხისმგებელმა მუშაკებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კადრების შერჩევისა და განაწილების პროცესს.

* * *

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხანაგი **ი. ჯ. უბილავა** გაათავისუფლა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ მის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით პლენუმმა ამხანაგი **ო. გ. ზუბბაია** გაათავისუფლა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ამხანაგი **მ. ს. წულაძე** აირჩია პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად.

ი. გოგბაჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საბჭოები მუშაობენ

ადგილობრივი საბჭოები ხელისუფლების ის ორგანოებია, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქად თუ სოფლად მცხოვრები თითოეული ადამიანი. ისინი აქ მოდიან ჭირითა და ლხინით, სატკივრით და სიხარულით, სახელმწიფო საქმით თუ პირადი საკითხით, მოდიან რჩევისა და დახმარებისათვის და იმისთვისაც, რომ აღადგინონ სამართლიანობა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ყველა საფეხურის საბჭოების როლი და ავტორიტეტი. ეს განაპირობა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების დადგენილებებმა, სხვა ფუძემდებლურმა გადაწყვეტილებებმა საბჭოების საქმიანობის სრულყოფის შესახებ. სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის გამიზნულ მუშაობას ეწევიან მცხეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა სახოფლო, საქალაქო და რაიონული საბჭოები.

ყოველთვის ადვილი როდია ამომრჩეველთა განაწყენის შესრულება. როცა ამ სტატიაზე ვმუშაობდი, გამახსენდა შეხვედრები მუხრანის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებთან მ. თინიკაშვილთან და ზ. კასიმოვთან. ისხდნენ ისინი მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში, რომელს აც ამომრჩეველთა განაწყენის საფუძველზე დახმარებისათვის მიმართეს.

— თუმცა დასასრული არ უჩანს ინსტანციებში ჩვენს სიარულს, გვამხნევებენ ის, რომ ახლა ყველგან მეტი პატივისცემით გვიღებენ და ამიტომაც თითქმის ყოველთვის ვაღწევთ სასურველ შედეგს.

ამჯერად მათ საკმაოდ ძნელი განაწყენები ჰქონდათ შესასრულებელი. სოფელ მუხრანში მოითხოვდნენ შიგასასოფლო გზების შეკეთებას და მოხრეშვას, ცენტრალური გზების მოასფალტებას, ძველ ქანდაში საჭირო იყო საფერშლო პუნქტის და საშუალო სკოლის შენობები. ეს უკანასკნელი ვეღარ იტევდა მოსწავლეებს, სოფლის ერთ-ერთ უბანში იყო ელექტროქსელები, რათა მოსახლეობას შეუფერხებლივ მიეღო ელექტროენერგია, დასაჩქარებელი იყო გაზიფიკაციის სამუშაოები...

ზოგიერთი ეს სამუშაო გეგმითაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ ჭიანურდებოდა. დეპუტატის ჩარევამ სასურველ შედეგს მიაღწია. რაიასაბჭოს აღმასკომმა გამონახა საკმარისი თანხები და საშუალებები და საქმეს თავი დაედგა, მოსახლეობის ყველა სურვილი დაკმაყოფილდა, რისთვისაც ისინი დიდად კმაყოფილი არიან.

ცნობილია, რომ დეპუტატის ორგანიზატორულ ნიჭს, მის უნარს — მოუსმინოს მასების ხმას, ამომრჩევლები იმის მიხედვით აფასებენ, თუ როგორ ასრულებს იგი განაწყენს. ეს ადვილი როდია, ჩვენ ზოგჯერ იოლად ვაკისრებთ ხოლმე დეპუტატს ამა თუ იმ მოვალეობას და ანგარიშს არ ვუწევთ იმას, შეძლებს თუ არა იგი მის შესრულებას. დიახ, დეპუტატს გვერდში უდგას საბჭო, რომელსაც უზარმაზარი ხელისუფლება გააჩნია, აქვს სამუშაო ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ აიშენონ მნიშვნელოვანი ობიექტები, გაიყვანონ გზები, გახსნან სკოლა ან კლუბი, მაგრამ ხშირად არც მათ შეუძლიათ ყველა მოთხოვნა შეასრულონ. და აი, დეპუტატი იღგწის, რათა შეასრულოს ამომრჩეველთა ნება და სასურველ შედეგს აღწევს, — გვეუბნება მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. შიხაშვილი.

მცხეთის რაიონში ყველა რანგის დეპუტატმა, მათი რიცხვი კი 600-ზე მეტია, ბოლო არჩევნების დროს 161 განაწყენი მიიღო შესასრულებლად. ეს რთული პროგრამაა, რომელიც მოიცავს ეკონომიკას, კულტურასა და განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობას, წესრიგის დაცვასა და ა. შ. რასაკვირველია, განაწყენები ეხმარება საბჭოს განსაზღვროს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, ყურადღება გაამახვილოს მოსახლეობის უპირველეს საჭიროებებზე, რომელთა განხორციელება აღმასკომისაგან და დეპუტატებისაგან უდიდეს შრომას მოითხოვს, საბედნიეროდ, მათ შორის მრავალი ენერგიული ადამიანი აღმოჩნდა, რომლებიც საერთო ინტერესებისათვის ძალებს არ ზოგავენ.

ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება გლდანის სასოფლო საბჭოს დეპუტატი ივანე აბუაშვილი. იგი მამაცურად შეებმება ხოლმე ყველა ძნელ საქმეს და არ მოეშვება, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს. როდესაც მას დაავალეს დაეჩქარებინა საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომელსაც აჭიანურებდა „საქაგრომშენის“ № 13 ტრესტი, მან ის სისხლხორცეულ საქმედ მიიღო. შექმნა დეპუტატთა საგუშაგო და არა მარტო აკონტროლებდა სამუშაოთა მიმდინარეობას, არამედ აიძულებდა მშენებლებს გამოესწორებინათ ყოველგვარი ხარვეზი. იგი არ იფიწყებდა ბგრეთვე მშენებლობის საქმის კურსში ყოლოდა თავისი ამომრჩევლები. საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა შალე დამთავრდება და სტუმართმოყვრულად მიიღებს 140 აღსაზრდელს. მათს დედებს კი ხელი არ შეეშლებათ, რომ აქტიურად ჩაებნენ სასარგებლო შრომაში.

ძეგვისა და ქსნის დეპუტატთა ჯგუფემმა, რომელთაც სათავეში უდგანან დეპუტატები მ. სარდალიშვილი და შ. ხიზანიშვილი, ზრუნავენ ამ სოფლების ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის. მათი ინიციატივით ძეგვის პირველი და მეორე საბავშვო ბაგა-ბაღები გაერთიანდნენ და ადგილი დაიკავეს ახლადაგებულ 150-ადგილიან კეთილმოწყობილ შენობაში. შემოაკავეს ქსნის ციხის მიმდებარე ტერიტორია და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფართო ფრონტით გაშლილ ქსნის ციხის სარესტავრაციო სამუშაოებში. მათივე ინიციატივით და მცხეთის რაიასაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარეობს ამ ისტორიული ძეგლის ტერიტორიის გამწვანება. და ეს ხდება უსასყიდლოდ, შაბათობების მოწყობით. გავრცელების ღირსია ნიჩბისის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა იმ ჯგუფის ინიციატივა, რომელსაც ლ. ბერაბიშვილი ხელმძღვანელობს. ჯგუფის ინიციატივით აშენდა მაღაზია ზემო ნიჩბისში, ახალ ნიჩბისში წესრიგში მოიყვანეს წყალსადენის ქსელი და მოსახლეობა დაკმაყოფილდა სასმელი წყლით. დიღმის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დეპუტატთა ჯგუფმა, რომელსაც გ. ხელაშვილი ხელმძღვანელობს, დარაზმა სოფლის ახალგაზრდობა და საკუთარი სახსრებით მოაწყვეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

ამომრჩევლთა სურვილებს, მათ მიერ დეპუტატობის კანდიდატთაოვის მიცემული განაწყენებისა და შეკითხვების საფუძველზე მრავალ საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. შეკეთდა თბილის-წოდორეთის გზატკეცილი ლისზე გავლით, დასრულდა სოფელ გალავნის წყალსადენის მშენებლობა, სოფლები გალავანი და ზემო ზაქარო შავსაფარიანი საავტომობილო გზით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და რაიონულ ცენტრს, კაპიტალურად შეკეთდა მანქანათა საგამოცდო სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები სოფელ წეროვანში, საგურამოს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში გაკეთდა შიგაგზები, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე დაიდგა აგრეთვე ასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, კეთილმოწყო სოფელი წეროვანი, სოფელ ძალისში გამავალი ცენტრალური გზის ორივე მხარეს მოეწყო ტროტუარები, მწყობრში ჩადგა საბავშვო ბაგა-ბაღის ტიპიური შენობა... ერთი სიტყვით, ჩამოთვლილი მცირე ნაწილია იმისა, რაც უკანასკნელ წლებში გაკეთდა. სახეს იცვლიან რაიონის სოფლები, ქალაქი მცხეთა, უმჯობესდება ადამიანთა შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები და ა. შ.

დეპუტატის შემოქმედები თ ი აქტიურობა დიდად მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ფაქტორია. და ეს აქტიურობა ყოველდღიურად უნდა გამოვიმუშაოთ, გავიფართოოთ პოლიტიკური თვალსაწიერი, და თუ ადამიანი პასიურია იმის გამო, რომ არ იცის, როგორ მიუდგეს საქმეს, მას უნდა დავეხმაროთ, უკადღურეს შემთხვევაში გავერკვეთ, თუ რა უშლის ხელს, ვურჩიოთ, ვუკარნახოთ სწორი გზა. სწორედ ეს ნაკლოვანებები ახასიათებს საგურამოს, ლისის, ქსოვრისის, ცხვარიჭამიას სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელებს. ამ მიზეზით ზოგიერთი დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა ფორმალური ხასიათისაა. დეპუტატთა უმრავლესობამ არ იცის, რით დაიწყოს, რომელი ორგანიზაციები ჩაებას მუშაობაში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომ არიან ზოგიერთი მთგანი უმოქმედოდ. ზოგს მიაჩნია, რომ განაწესი უნდა შეასრულონ ან თვით საბჭომ, ან სამეურნეო ორგანიზაციებმა, ხოლო დეპუტატები მხოლოდ შუამავლები არიან ამომრჩევლებსა და საბჭოებს შორის. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, აღნიშნულ საბჭოებში რომ ნელა სრულდება განაწესები და ამომრჩევლთა მიერ საარჩევნო კრებებზე გამოთქმული წინადადებანი.

ისიც ხდება, რომ როცა ხარვეზების ან სხვა მიზეზის გამო განაწესი არ არის უზრუნველყოფილი ფინანსურად, თუმცა იგი მიღებულია შესასრულებლად. მაგალითად, საგურამოს სასუნთქი ორგანოების ქრონიკული სნეულებით დაავადებულ ბავშვთა რესპუბლიკური სანატორიუმი სკოლა-ინტერნატის სასადილო ბლოკი, სასწავლო კორპუსი, საყოფაცხოვრებო ბლოკი, ცხელი წყლის გაყვანილობის ტრასა და სხვა ობიექტები საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას. ეს საკითხი სკოლა-ინტერნატის დირექციასაც დაუსვამს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინაშე, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას საშველი არ დაადგა. არადა, სკოლა-ინტერნატი უმძიმეს პირობებშია. ამომრჩევლებს, რომლებმაც განაწესი მისცეს დეპუტატობის კანდიდატებს (ინიშნულის თაობაზე, ხომ უნდა ეცნობოთ ეს. ამომრჩევლებმა ასევე არ იციან, თუ რატომ ჭიანურდება ამავე ინტერნატის საძილე კორპუსების რესტავრაცია, რომელსაც აწარმოებს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

ერთი სიტყვით, თუ რაიმე მიზეზით საქმე ყოვნდება, ამომრჩევლებს იმთავითვე უნდა განვუმარტოთ, თუ რატომ მოხდა ეს, როდის შესრულდება განაწესი. მხოლოდ კარგად ინფორმირებული ამომრჩევლები დაუჭერენ მხარს თავიანთ რჩეულს, მიეხმარებიან და დაეხმარებიან მას, და არ ექნებათ იმის მიზეზი, რომ უარყოფითად შეაფასონ მათი საქმიანობა. პარტიის XXVII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილება თ ა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საჯაროობის ხომ უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა.

ამას წინათ მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის სესიაზე იყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ამომრჩეველთა განაწესები. დეპუტატებმა მოიყვანეს საინტერესო ციფრები: მიღებული განაწესებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შეუსრულებელი. და ესეც იმიტომ, რომ მათი გადაწყვეტა მარტო რაიონულ ორგანოებს არ ძალუძთ, დაყენებულია საკითხი რესპუბლიკური ორგანოების წინაშე.

განაწესისადმი დამოკიდებულება დეპუტატთა, თვით საბჭოს მუშაობის სტილის, დაკისრებული საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის დონის, საქმის ორგანიზაციის უნარის მაჩვენებელია.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ამომრჩეველთა განაწესი

დეპუტატის პროგრამაა

სასწრაფო პროგლემა: რეალიზაციის გზები

დიდსა და პატარა ლიახვს შორის გაშლილია ერედვის საბჭოთა მეურნეობის სავარგულები. აქედან იწყება მთისწინა ქართლის ველები. მერედა, როგორი გამრჯე ხალხი ცხოვრობს აქ. 60—70-იან წლებში ქუხდა მათი სახელი. უნვად მოპყავდათ ხორბალი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი, საზოგადოებრივი მეცხოველეობა აღმავლობის გზაზე იყო. მაშინ იასონ ქრისტესიაშვილის სახით მეურნეობას კარგი ხელმძღვანელი ჰყავდა, მტკიცე კომუნისტი, სახალხო დოვლათის გამმრავლებელი და დამცველი. იაფად აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. მეურნეობის თავკაცი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, ლენინის ორდენითა და მთავრობის სხვა ჯილდოებით მკერდდამშვენებული. მოხუცება და შეცვალეს. სხვათა ხელში ნელ-ნელა უკუსვლა იწყო მეურნეობამ. ამის მიზეზი უპირველესად დისციპლინის მოშლა და საქმის თვითდინებაზე მიშვება გახდა.

ორი წლის წინათ მეურნეობის გაძღოლა დაეკისრა ერედველ ახალგაზრდა სპეციალისტს თამაზ ბუზალაძეს. მანამდე იგი კომკავშირის ცხინვალის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა, იყო ერედვის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანიც. უგულოდ მუშაობს, ცოდნა არა აქვს და უპატიოსნოთ, ამას ვერავინ იტყვის. მაგრამ...

შარშან მეურნეობამ სამეურნეო წელი 320 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. გარდა მარცვლეულისა, ვერც ერთ დარგში ვერ შესრულდა პროდუქციის მიღების გეგმები. თანაც პროდუქტები ძალზე ძვირი დაჯდა. განსაკუთრებით ხილი და მეცხოველეობის პროდუქტები. მაგალითად, ერთი ცენტნერი საქონლის ხორცი საგეგმო 391 მანეთისა და 50 კაპიკის ნაცვლად 961 მანეთი დაჯდა. ცენტნერი ღორის ხორცი — 852 მანეთი, ნაცვლად 275 მანეთისა; გარდა ამისა ცენტნერი რძის წარმოება 20 მანეთით მეტი დაჯდა, ხილისა — 14 მანეთით, თივისა — 7 მანეთით მეტი და ა. შ. ასეთ პირობებში, ერთობ შემცირდა საშუალო წლიური ხელფასის დონეც; მუშაკაცი წელიწადში ნაცვლად 1415 მანეთისა 1228 მანეთს ღებულობს.

გუნება წაუხდა მშრომელ კაცს, მაგრამ მუშაობა არ მიუტოვებია. შრომას შეჩვეულ ადამიანს უქმად რა დააყენებს?! ახლაც ხეხილის ბაღებში ტრიალებენ, შეაქვთ ორგანული სასუქები, სხლავენ ხეებს. მექანიზატორები ხვნათესვის თადარიგში არიან. აბა, მეცხოველეს საქმეს რა გამოუელვს. ძროხასა და ხბოს ყოველდღიური ზრუნვა უნდა. მერედა, როგორ მძიმე პირობებში მუშაობენ?!

— აფსუს, რა ძროხები გვყავდა? — ამბობს მოწინავე მეწველავი ზამირა თუაევი, — ბრუცელოზი გაჩნდა. შარშანწინ და შარშან ძროხების დიდი ზარალი ვნახეთ. თუ ასე გაგრძელდა, სულაც გაწყდება პირუტყვი.

ახლა ერედველთა მეცხოველეობის ფერმებში 1.400 სული საქონლის ნაცვლად 1.120 სული ჰყავთ. ძროხა 139 სულით ნაკლებია საგეგმოზე. საჭიროა მთელი ფერმების განახლება. მწყემსებსა და მწველავებს არ აქვთ ნორმალური მუშაობის პირობები. ერთ ოთახს აქ სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის პირველად დაინერგა ელექტროაპარატურით მექანიზებული წველა. ახლა ნაკელის გატანაც კი ალარ არის მექანიზებული; ფერმებში წყალი და გათბობა არ არის, დადგენილი არა აქვთ კვების ერთნაირი, მტკიცე ულუფა. საკვების შემამზადებელი საამქროს მუშაობა მხოლოდ უხეში საკვების დაქუცმაცებითა და დაორთქლებით შემოიფარგლ ე ბ (ისიც არა ყოველთვის), ხოლო მხოლოდ 450 ცენტნერი მოსავალი. ამდენი ხომ ერთი ჰექტარიდან უნდა მიეღოთ. ბრიგადირი კი გაათავისუფლეს, მაგრამ საქმეს ეშველა?

— რატომ ხდება ასე? ყოველ წელს გადაეპარებიან ასრულებთ გეგმებს, სხვები კი ჩამორჩებიან. უხვი მოსავლის მოყვანის რაიმე საიდუმლო ხომ არ იცით? — გკითხე მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელს ვანო ტურაშვილს.

— საიდუმლო აქ არაფერია,— მიპასუხა მან, — მცენარის მოვლა-პატრონობის საქმეში ალერადან ალერადან. ალბათ გამოცოცხლდება მუშაობა. უკვე დაინტერესდნენ ჩვენი მოწინავე მეცხოველეები. დიდი გარჯით ასეთ პირობებშიც კი იმედი აქვთ, რომ მეტ რძეს მიიღებენ, გვეუბნება მთავარი ზოოტექნიკოსი ცირა ვახტანგაშვილი, ერთ დროს სახელგანთქმული მწველავი.

ერთ დროს ერედვში მეხილეობაც აღმავლობის გზაზე იდგა, კარგ შემოსავალს იძლეოდა, მაგრამ წლების განმავლობაში მოუვლელობით დაკნინდა ბაღები. მეკენახეობაც საკმაოდ იყო განვითარებული, მერე, როცა ამ დარგსაც ხელი აუკრეს, მოსავლიანობის გეგმებიც ალარ სრულდებოდა. ნახეს გამოსავალი, სულაც ამოძირკვეს წლობით ნალოლიავები ათობით ჰექტარი ვაზი.

— ერედვი არა მარტო ცხინვალის რაიონში, არამედ მთელ სამხრეთ ოსეთში შაქრის ჭარხლის ერთ-ერთი ძირითადი მომყვანია. არცთუ დიდი ხნის წინათ აქ 6.000 ტონა შაქრის ჭარხალს ამზადებდნენ, ახლა კი 3.000 ტონის წარმოებაც უჭირთ. შარშან საოკეთესო შაქრის ჭარხლის ბოსტნები ჰქონდათ, მაგრამ არ გაფფრთხილდნენ მოსავალს. მის ამოღებაჩაბარებას მკაცრი კონტროლი არ დაუწესდა, ნაწილი პირუტყვმა წაახდინა და ამდაც ვერ შესძლეს ფერმებისა და ფერთა გამით გამორჩეული ხუთი ნახატი შექმნეს. უკვე დაიწყო მათი სერიული გამოშვება.

მომდინარე წელი კომბინატის კოლექტივს ბევრს გვავალებს. სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებში მთავარი ყურადღება ეთმობა რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. მოძეირნეობის რეჟიმის გაძლიერებას. როგორც გაირჯება კოლექტივი, მატერიალური სტიმულირებაც ისეთი იქნება. განაკვეთისა და ხელფასის გადიდება ახლა საკუთარი სახსრებით მოხდება. მოგვიწევს შრომის ნორმების გადასინჯვა, ცვლილებების შეტანა ხელფასის სტრუქტურაში. მთელი შესაძლებლობით უნდა ვიმუშაოთ, გზა უნდა გადავუკეთოთ უქნარებს, უზრუნველყოთ კომბინატის დიდი რენტაბელობა.

— ალბათ, მალე თქვენთანაც დაიწყება პროდუქციის სახელმწიფო მიღება. რას იღონებთ იმისათვის, რომ ხარისხის გაუმჯობესებაში წარმატება მოიპოვოთ?

სახელმწიფო მიღება უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და მის განხორციელებას სათანადო მომზადება სჭირდება. საამისოდ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ერთგვარი ძვრები მოხდა ტექნიკური კონტროლის განყოფილების საქმიანობაში. კომბინატის დირექტორთან ერთად გულდასმით შევისწავლეთ კონტროლის განყოფილების მუშაობა, გავაძლიერეთ იგი პატიოსანი კომუნისტებით და დავუქვემდებარეთ დირექტორის მოადგილეს ხარისხის დარგში გ. ბასილაქეს. ასე რომ, ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული ტექნიკურ კონტროლზე, მის გაძლიერებულ პასუხისმგებლობაზე. ვფიქრობთ, კომბინატი პირნათლად შეხვდება პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლას.

რაც შეეხება ნედლეულის მომწოდებელი ორგანიზაციების საიმედობას, ამის შესახებ აშკერად ბევრს ვერაფერს ვიტყვით, ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს რვა საწარმო გვაწვდის და აქედან უმრავლესობას არა აქვს მოგებულად დანემსვის მაგიდა, დაინერგა ხალიჩების გვერდების ჩამოჭრის მექანიზაცია და სხვა.

ვცდილობთ, რომ მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად ხალიჩა უფრო ლამაზი და მიმზიდველი იყოს. შარშან მხატვრებმა ორნამენტებითა და ფერთა გამით გამორჩეული ხუთი ნახატი შექმნეს. უკვე დაიწყო მათი სერიული გამოშვება.

მომდინარე წელი კომბინატის კოლექტივს ბევრს გვავალებს. სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებში მთავარი ყურადღება ეთმობა რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. მოძეირნეობის რეჟიმის გაძლიერებას. როგორც გაირჯება კოლექტივი, მატერიალური სტიმულირებაც ისეთი იქნება. განაკვეთისა და ხელფასის გადიდება ახლა საკუთარი სახსრებით მოხდება. მოგვიწევს შრომის ნორმების გადასინჯვა, ცვლილებების შეტანა ხელფასის სტრუქტურაში. მთელი შესაძლებლობით უნდა ვიმუშაოთ, გზა უნდა გადავუკეთოთ უქნარებს, უზრუნველყოთ კომბინატის დიდი რენტაბელობა.

— როცა ახალი ზღუდეების გადასალახავად ემზადებით, ვფიქრობ, ცუდი არ იქნება განვლილ გზასაც გადავავლოთ თვალი, აჯერად განსაკუთრებით საინტერესოა როგორ დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედი.

— შარშან, წინა წლებთან შედარებით, ერთგვარი წინსვლა გვქონდა, მაგრამ პროდუქციის გამოშვების გეგმა მაინც ვერ შეასრულეთ. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იყო მუშახელის დენადობა, შრომის დისციპლინის მოშლა, სამკროთა უფროსების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. უპასუხისმგებლობამ და უყაირათობამ განსაკუთრებით იჩინა თავი სართავ საამქროში, რომელიც წარმოების მთავარი უბანია. ცდებოდა სამუშაო დრო, არ ანალიზებოდა კვირისა და თვის შედეგები, ყურადღება არ ექცეოდა დირექციის მითითებებს, არ სრულდებოდა მისი კონკრეტული დავალებები. პარტიული მუშაობის ჩაშლისა და კომუნისტების ავანგარდული როლის შესუსტებისათვის საამქროს პარტორგანიზაციის მდივანს ბ. გიგიბერიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური და განთავისუფლდა თანამდებობიდან, ხოლო საამქროს უფროსი რ. შამთავაკ დაბალ თანამდებობაზე გადაიყვანეს. პარტიული სასჯელები დაედოთ სხვა იმ კომუნისტებსაც, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის მოშლაში, უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში.

მტკიცედ მოვკიდეთ რა ხელი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის მზადებას, კადრები სხვა საამქროებშიც გადავახალისეთ, მცოდნე და გამრჯე ადამიანებით განვამტკიცეთ წარმოების ყველა რგული. სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვა რამდენიმე უბანი. ამოქმედდა ზენაზვის მომზადების ახალი ხაზი, დამონტაჟდა 9 ახალი საქსოვი დაზგა, ხალიჩების მექანიზებულად დანემსვის მაგიდა, დაინერგა ხალიჩების გვერდების ჩამოჭრის მექანიზაცია და სხვა.

ეცდილობთ,

„ბამული, საჭვარელო“

ილია ჭავჭავაძის

იუბილეისათვის

თბილისში 1890 წლის 27 მაისიდან საგასტროლოდ იმყოფებოდნენ გასული საუკუნის მსოფლიოში სახელგანოქმული იტალიელი ტრაგიკოსი მსახიობი ერნესტო როსი (1827–1896) და მისი დასი. ქართული თეატრის სცენაზე მათ წარმოადგინეს 11 სპექტაკლი. გასტროლებს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. აღტაცებული თბილისელი მაყურებლების დაჟინებული თხოვნით, გასტროლები ადრე დამთავრდა 12 ივნისის ნაცვლად 17 ივნისამდე გაგრძელდა, იტალიელმა მსახიობებმა მეორეჯერ წარმოადგინეს „მეფე ლირი“ და „ჰამლეტი“... უკანასკნელ სპექტაკლზე, 17 ივნისს, „ჰამლეტის“ წარმოდგენის ბოლოს, ჰამლეტის ტანსაცმელში გამოვიდა ერნესტო როსი და უთხრა ქართველ მაყურებლებს: „ჩემმა ოცნება და ნატვრა სულ მუდამ ის იყო, რომ თქვენი ქვეყანა მენახა. დღეს შემისრულდა ეს ნატვრა... ამიერიდგან მართალია შორს ვიქნები თქვენის ქვეყნიდგან, რომელიც ასე საკვირველადა ვგავს ჩემს იტალიას, მაგრამ გულითა და გონებით მაინც ასლო ვიქნები თქვენზე...“ (იხ. „ივერია“ 19.VI. 1890, № 128).

ე. როსის გამოუთქვამს სურვილი, ქართული დასის წარმოდგენა მაჩვენეთო („ივერია“, 1890, № 113). მართლაც, დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი, ბათუმი, ფოთი) გასტროლებიდან ახლად დაბრუნებულმა ქართულმა დასმა 18 ივნისს, ე. როსის პატივსაცემად გამართა წარმოდგენა. „ხანუმას“ მეორე მოქმედება და „ბიძიასთან გამოხუმრება“ ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვას, ნატო გაბუნიას და სხვათა მონაწილეობით, რითაც როსი ფრიად ნასიამოვნები დარჩენილა.

მადლიერმა ქართველმა საზოგადოებრიობამ გვიან ღამით ცისკრამდე ვახშამი გაუმართა იშვიათ სტუმარს, რომელსაც თითქმის ასი კაცი დაესწრო, მათ შორის, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, გაბრიელ სუნდუკიანი, დავით გურამიშვილი (მხატვარი, ნიკო ნიკოლაძის ცოლის ძმა), ქართული დასის მსახიობები და სხვები.

ვახშამზე სიტყვები წარმოთქვეს აკაკიმ (თან ექსპრომტად ლექსიც უთხრა), ილიამ, ივანე მაჩაბელმა, დ. გურამიშვილმა და... თვით ე. როსიმაც, რომელსაც კერძოდ, უთქვამს:

„შექსპირი ზღვაა, იმის სრულად და სავსებით გადმოცემა ძნელია და შეუგნებელი არტისტისათვისაო. მისი ქმნილებანი ედარება დიდს, უზარმაზარს ყუმბარას, რომელიც, ვინ იცის, რამდენი ხანია მიჰქრის დიდის სისწრაფით სივრცეში და, ვინ იცის, როდის შეჩერდებაო“.

როსის ამ სიტყვებთან დაკავშირებით გამოუთქვამს თავისი აზრი ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დღემდე არ შესულა მწერლის თხზულებათა გამოცემებში:

„პირველი აზრი მართალიაო,— უპასუხა ილია ჭავჭავაძემ როსის, — ხოლო მეორის შესახებ კი — უნდა მოგახსენოთ, რომ იმ ყუმბარას შეხედა დღეს დიდი კაცი და ისიც გაჩერდა. სწრაფად მავალი ყუმბარა ახლა დიდს ფიქრსა და ყოყმანშია და აღარ იცის, განაგრძოს ან საჭირო-ღაა თუ არა მისი სწრაფი სვლა საუკუნეთა განმავლობაშიო“ (იხ. „ივერია“, 1820, 20.VI. № 129).

აქვე საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი ე. როსის სიტყვებს შექსპირის ქართულად ამეტყველების საქმეში ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დამსახურების თაობაზე, რის გამოც ქართველ მაყურებელს არ გასძნელებია იტალიურად წარმოდგენილი შექსპირის პიესების გაგება:

„თქვენი საზოგადოება დიდის ხალისით ესწრებოდა ჩემს წარმოდგენებს, მეტადრე შექსპირის პიესებისას. წარმოდგენების დროს ცხადად ვამჩნევდი ამ საზოგადოებას, რომ სულ-განაბული უგდებდა ყურს პიესას და რა კარგად ესმოდა დიდებულის პოეტის ნამოქმედარი, მისი მაღალი პოეზია და ღრმა აზრები. როგორც ვხედავ, ასე მოუმზადებია საზოგადოება **და შეუთვისებინებიათ შექსპირის უკვდავი ქმნილებანი ორს დიდს პოეტს საქართველოსას, რომელნიც დღეს ჩვენს შორის იმყოფებიან. პოეტი დიდი მასწავლებელია ერისა და ამისათვის მე ვსვამ ამ ორ ქართველთა პოეტის სადღეგრძელოს და ვისურვებ დიდხანს კიდევ ეღვაწნოთ თავიანთ ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ და სადიდებლად“** (იხ. „ივერია“, 1890, № 129).

აი სწორედ ერნესტო როსის პატივსაცემად 1890 წლის 18 ივნისს თბილისში გამართული ვახშმის ამსახველი ორი ფოტოსურათი შემოგვრჩენია ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში (№ 175 და № 176).

პირველ სურათზე (№ 175) დამსწრეთა მხოლოდ ერთი ნაწილია მოქცეული: ცენტრში ვხედავთ ერნესტო როსის, რომლის მარცხნივ ზის ილია ჭავჭავაძე, მარჯვნივ— იტალიელი მსახიობი ქალი პიერი, ხოლო პირისპირ — ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა.

მეორე სურათზე (№ 176) სამ მწკრივად გაწყობილ სუფრასთან (მთავარ სუფრასთან ერთად) ზის საღამოს ყველა მონაწილე (ას კაცამდე), რის გამოც მათი გარჩევა ჭირს. ზოგიერთი მათგანი გამდიდებელი შუშით მაინც გავარჩევთ: მთავარ სუფრასთან სხედან ილია და ოლღა ჭავჭავაძეები, ერნესტო როსი იტალიელი მსახიობებითურთ. აკაკი წერეთელი ზის შუა სუფრის ცენტრში, მის გვერდით ანასტასია თუმანიშვილია, თავში უნდა იჯდეს ივანე მაჩაბელი, ხოლო ბოლოდან მეორე არის გრიგოლ ყიფშიძე. პირველ მწკრივში ვხედავთ პეტრე უმიკაშვილს, ხოლო მესამე მწკრივში მაკო საფაროვას და ვასო აბაშიძეს...

გურამ შარაძე.

სურათზე: ერნესტო როსი და ილია ჭავჭავაძე (№ 175 სურათის ფრაგმენტი).

ეკვდავი სახება

უმაღლესი სკოლის საზრუნავი: ინტეგრაცია გარდაქმნის საფუძველია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „უმაღლესი განათლების მეშვიდე სპეციალისტების მომზადების ხარისხისა და სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების ძირეულად გაუმჯობესების შესახებ“, სპეციალურ დოკუმენტია საბჭოთა უმაღლესი სკოლის საქმიანობის ფუძისებრივად გარდაქმნის გზაზე.

უმაღლესი განათლების გარდაქმნისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე.

აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დოკუმენტების შესაბამისად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტმა შეიმუშავა განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედო სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხელშეკრულება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და საქმთავარენერგოს შორის 1986-1990 წლებში ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერების შესახებ.

გარდაქმნის ძირითად მიმართულებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „... კადრების მომზმარებელი სამინისტროების მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის განმტკიცებასა და ახალი მოწყობილობებით მათს აღჭურვაში უმნიშვნელოა, ეპიზოდური და არასავალდებულო ხასიათისაა. მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, რომლებიც მრავალ სპეციალისტს იღებენ, პრაქტიკულად არ მონაწილეობენ საესაბამისო სასწავლებლების გამოთარებაში“.

საქმთავარენერგოს უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ენერგეტიკის ფაკულტეტის კათედრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელახალი აღჭურვისა და მოდერნიზაციის გზაზე. ფაკულტეტისათვის შეძენილია რიცხვული ელექტრონული გამომთვლელი მანქანა CM-1600, რომელიც „ფინანსურ-ეკონომიკურ“ და უფროსულ ხანში „ეუშავდება. გარდა ამისა, მაპროფილებელი კათედრებისათვის შეძენილია დიალოგიური გამომთვლელი კლასის ДВК-2М-ის თერმეტი კომპლექტი, რომელთა ამოქმედება, რაც მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის არის გათვალისწინებული, ფაკულტეტს საშუალებას მისცემს ძირითადად გადაწყვიტოს კათედრების ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკით უზრუნველყოფის, ინდივიდუალური სამუშაო ადგილების კომპიუტერიზაციის საკითხი. სტუდენტებს საშუალება ექნებათ ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით შეასრულონ სადიპლომო და საკურსო გეგმარება.

განათლების, წარმოებისა და მეცნიერების ინტეგრაციის მიზნით, რაც გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, საქმთავარენერგოს ენერგეტიკის ფაკულტეტს გადასცა ქალაქის ფარგლებში არსებული მოქმედი ჰიდროელექტროსადგური — თერიხევანჯესი. ამ ელექტროსადგურის სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის გამოსაყენებლად საქმთავარენერგო აშენებს სასწავლო სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსს, რომლის ფართობი 2000 კვადრატულ მეტრს აღემატება. კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, რაც 1989 წლისთვის არის გათვალისწინებული, ფაკულტეტის სტუდენტობა სასწავლო გეგმების შესაბამისად მაპროფილებელ საგნებში ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებიდან ოცი ნაწილის გავლის საწარმოო და პრაქტიკული სიტუაციების მოდელირების გზით. გარდა ამისა, აღნიშნული კომპლექსი შესანიშნავი პოლიგონი იქნება მეცნიერული კვლევის უშუალოდ წარმოების პირობებში განსახორციელებლად.

ძირითად მიმართულებებში ხაზგასმულია უმაღლესი სკოლის უმჯიდროესი ინტეგრაცია წარმოებასთან და მეცნიერებასთან. მათი ახალი ტიპის ურთიერთდამოკიდებულებას საფუძვლად უნდა ედოს სახელშეკრულებო ვალდებულებანი, რომლებიც საგეგმო საფუძველზე ახალგაზრდა სპეციალისტების მიზნობრივ მომზადებას ითვალისწინებს. ასეთი ხელშეკრულება უკვე მოქმედებს საქმთავარენერგოსა და ენერგეტიკის ფაკულტეტს შორის. გარდა ამისა, ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამკვიდრების მიზნით, საქმთავარენერგოს ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ყოველწლიურად ლიმიტით აგზავნის 3-5 სპეციალისტს ისეთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტებიდან, როგორიც არის ენგურჰესი, თბილისსა და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურები. ამ სტუდენტებს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში ყურადღებას არ მოაკლებენ საქმთავარენერგოს სპეციალისტები და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისინი თავიანთ წარმოებას დუბრუნდებიან.

საქმთავარენერგოსა და ენერგეტიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელობა უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღებით ეკიდებიან სტუდენტთა მეცნიერული კვლევების შედეგების წარმოებაში დანერგვის საკითხს. ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბჭოს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული საქმთავარენერგოს სწარმოო-სარემონტო სამმართველოს, თბილისის თბოელექტროცენტრალისა და სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივებთან. სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრები სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე გადავიდნენ და კვირაში ერთ დღეს მთლიანად წარმოებაში ატარებენ. 1982-1986 წლებში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების წარმოებაში დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 171.000 მანეთი შეადგინა. ამავე წლებში ფაკულტეტის სტუდენტებმა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საკავშირო კონკურსებში ოთხი მედალი მოიპოვეს, რაც მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, ჩვენმა სტუდენტებმა დაიმსახურეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ოთხი მედალი და საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების რვა დიპლომის. სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებმა 1981 წლიდან დღემდე გამგონებებისათვის მიიღეს 20-მდე საავტორო მოწმობა, წარმოებაში დანერგეს 60-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება.

უმაღლესი სკოლისა და წარმოების მჭიდრო ინტეგრაციის კიდევ ერთი მაგალითია ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ახალგაზრდული კლუბის მშენებლობა, რომელიც სტუდენტთა თანხმობით დაიწყო და მთლიანად მათი ძალებით წარმოებს საქმთავარენერგოს სისტემატური მატერიალური დახმარებით.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საქმთავარენერგოს შორის დადებული ურთიერთპარტნიორული ხელშეკრულების მთლიანი რეალიზაციის შემდეგ ენერგეტიკის ფაკულტეტი გადაიქცევა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ფაკულტეტად, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მთლიანად უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ენერგეტიკული კადრებით.

ი. ჯედია,
საქმთავარენერგოს უფროსი;
დ. კულუმბეგაშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

ხვალინდელი დღე დღეს იჭედება

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამბ. ნ. ბ. ზუნაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ;

ამბ. ზ. მ. ანთაძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილედ;

ამბ. კ. რ. ყღენტი — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომსახურების მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამბ. გ. ვ. ქერაშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

ამბ. ი. ვ. ჩიჩუა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

უსასრულობა

ფიქრები • მოვლენები

ჯეიმს ევანსი:

უღრმესი მადლობა სოლიდარობისათვის

ნიუ-იორკი. ვაშინგტონში მშვიდობის ვიტატზე მდგომი ჩარლზ ჰაიდერისადმი სოლიდარობისათვის უღრმესი მადლობა შემოუთვალა საბჭოთა ადამიანებს ჰაიდერის ახლო მეგობარმა და თანამებრძოლმა, ამერიკელმა ფსიქოლოგმა მეცნიერმა ჯეიმს ევანსმა.

წერილში, რომელიც მან საკდესს გამოუგზავნა გულადი ამერიკელი მებრძოლის თხოვნით, ნათქვამია, რომ დოქტორი ჰაიდერი იღებს უამრავ საფოსტო ბარათს, წერილს, დეპეშას, წიგნს, ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებებს, რაც მოწმობს „გულწრფელ აღიარებასა და მხარდაჭერას“. მოსაკითხს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან გზავნიან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები — ბავშვები, მუშები, მოსამსახურეები, დისახლისები, მეცნიერები, ინჟინრები. ჯეიმს ევანსი უდიდესი მადლიერებით იხსენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილს.

მას შემდეგ, რაც 1986 წლის სექტემბერში მხარში ამოვდექი ჩარლზ ჰაიდერის მშვიდობის ძიებისათვის ბრძოლაში, წილად მხვდა ბედნიერება შეეხვედროდი და დავმეგობრებოდი შესანიშნავ, გულისხმიერ საბჭოთა ადამიანებს. მე ვგულისხმობ ჟენევის საბჭოთა მისიის, სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს თანამშრომლებს, საბჭოთა ჟურნალისტებს, რომლებმაც მთელ მსოფლიოს ამცნეს ჩარლზ ჰაიდერის ამბავი. ამავე დროს ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, შეერთებული შტატების პრეზიდენტი, კონგრესის წევრები კვლავინდებურად არარად აგდებენ დოქტორ ჰაიდერს, მის მგზნებარე სწრაფვას მშვიდობისადმი, წერს ჯეიმს ევანსი. ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა ჯეიმს ევანსმა უარი თქვა სამუშაოზე, რათა განსაცდელის ყამს მხარში ამოსდგომოდა მეგობარს.

1987 წლის იანვარში ჩვენ ერთად გავემგზავრეთ ჟენევაში, რათა დოქტორ ჰაიდერის პოზიცია გავეცნო განიარაღების საკითხთა მოლაპარაკების მონაწილეებისათვის, ნათქვამია წერილში. ამერიკელთა მისიაში რამდენადმე მნიშვნელოვანი რანგის პირთაგან არც ერთმა არ ინება ჩვენთან საუბარი. მეორე დღეს ამერიკის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა გამოიძახეს შვეიცარიის პოლიცია, რათა ბოლო მოეღოთ ამერიკის შეერთებული შტატების მისიის შენობის სიახლოვეს ჩვენი მშვიდობიანი ყოფნისათვის. საბჭოთა მისიაში, აღნიშნავს ჯეიმს ევანსი, ჰაიდერი და მე გულთბილად და პატივისცემით მიგვიღეს, გვითხრეს, რომ ესმით მისი ბრძოლის კეთილშობილი მიზანი.

დავიწყებულ-ნაგალითევ, რაოდენ სწორი დასკვნა გამოგვიტანია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა განიარაღებისა და მშვიდობის ინტერესების შესაბამისი საერთაშორისო თანამშრომლობის ერთგულია, ნათქვამია წერილში. ეს სავსებით შეესაბამება პირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგაც დოქტორი ჰაიდერი შეწყვეტდა შიმშილობას.

მაგრამ დოქტორი ჰაიდერი მხოლოდ მაშინ შეწყვეტს შიმშილობას, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იკისრებს ვალდებულებას, რომ 2000 წლისათვის დაშლის მეელ ბირთვულ ქობნებს და არ შეცვლის მათ სხვა მუხტებით, არ განახორციელებს და არ დაუჭერს მხარს აგრესიულ საომარ მოქმედებას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, ნათქვამია წერილში; „დადგა დრო, მახვილის მაგივრად სახნისს მოვკიდოთ ხელი“, — დასძენს დასასრულ ჯეიმს ევანსი.

● ჰოლანდია

მხარს არ უჭერენ

ჰაგა. ჰოლანდიის ეკლესიები მხარს არ უჭერენ პრეზიდენტ რეიგანის სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას იმ მიზეზით, რომ ეს პროგრამა ისეთ პროცესებს აბრკოლებს, როგორიც არის საერთაშორისო ვითარების შერბილება, დაძაბულობის შენელება, თანამშრომლობა და განიარაღება. ასეთი დასკვნა გამოიტანა ნიდერლანდის ეკლესიათა საბჭომ ნოტაში „ვარსკვლავეთის ომები და უშიშროების გარანტია“. ნოტის შინაარსი ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოს წევრებმა ამერსფორტში გამართული სხდომის დროს. ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა განკუთვნილია არა სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად, არამედ, უშინარეს ყოვლისა, რაკეტულ-ბირთვული იარაღის შენარჩუნებისათვის. მისი მთავარი მიზანია დაშინების პოლიტიკის გაძლიერება და არა უნდობლობის აღმოფხვრა, აღნიშნულია დოკუმენტში.

● იტალია

კონსტრუქციული პოზიცია

ა. ნატას გაბოროტლა მიტინგზე

რომი. იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალესანდრო ნატამ ჩამოაყალიბა იტალიის კომპარტიის კონსტრუქციული პოზიცია ქვეყანაში მომდინარე მწვავე პოლიტიკური კრიზისის დაძლევის გზების თაობაზე. იგი გამოვიდა რომის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე გამართულ მიტინგზე.

ა. ნატამ დაგმო მანევრები, რომელთა მიზანია აღადგინონ ძველი მმართველი უმრავლესობა. მან აღნიშნა, რომ ხუთპარტიიანი კოალიციის ნამსხვრევების გაერთიანების ცდების შესაძლო ჩაშლის საფრთხის წინაშე კომუნისტებმა წამოაყენეს მკაფიო და სერიოზული წინადადება: შეიქმნას მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს რეფერენდუმების ბოწყობას (მართლმსაჯულებისა და ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებზე — საკდესის შენიშვნა), იარსებებს ახლანდელი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე და ხელს მოჰკიდებს იტალიის წინაშე მდგომი გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტას. ქვეყნის ინტერესს შეადგენს თავიდან მოიშოროს ხუთპარტიიანი კოალიცია, თქვა ა. ნატამ.

იტალიელ კომუნისტთა ხელმძღვანელი არ გამორიცხავს ქვეყანაში პარლამენტის ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიის კომპარტიამ ყოველი ღონე იხმარა, რათა თავიდან აიცილოს ამგვარი შედეგი. და არა იმიტომ, რომ მას არჩევნებისა ეშინია. კომუნისტებს კი არ უნდა ეშინოდეთ სახალხო აზრისა, არამედ იმ პარტიებს, რომლებიც შეუპოვრად იმეორებდნენ, ხუთპარტიანი კოალიცია „შეუცვლელიაო“, და რომლებმაც ვერ შეძლეს ემართათ ქვეყანა და გადაეჭრათ მის წინაშე მდგომი პრობლემები.

● ბელგია

ფოტოეკრანი



პრაღის განუმეორებელი სილამაზის უძველესი არქიტექტურის შერწყმა ქალაქის მშენებელთა თანამედროვე ჩანაფიქრთან — ასეთი იდეით არის გამსჭვალული ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1990 წლამდე), რომელიც პრაღის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო. ქალაქის ისტორიულ ნაწილში გრძელდება გასულ საუკუნეთა არქიტექტურული შედევრების რესტავრაცია, ფართოვდება ნაკრძალი ზონები. 44 ათას ბინას მიიღებენ ახალმოსახლეები.

სურათებზე: პრაღის ახალ რაიონში ამას წინათ გახსნილი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გასეირნებისას; დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი ხიდი; პრაღის ახალი დასასვენებელი ცენტრი, სადაც ბინავდებიან ხოლმე ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებიდან დედაქალაქში საექსკურსიოდ ჩამოსული მშრომელები.

ჩტკ-საკდესის ფოტო.

იმპერიალიზმის დოსიე

ბინძური გარიგება

კონტრრევოლუციონერებისათვის განკუთვნილი იარაღი ნარკოტიკების მიწოდებით ნაზღაურდებოდა

ნიუ-იორკი. ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის იარაღის მიწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებში კოკაინის შემოტანის სანაცვლოდ — ასეთია ბინძური გარიგების არსი, რომელიც ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დაუდო ნარკოტიკების საერთაშორისო ვაჭრებს პერიოდში, როცა კანონით აკრძალული იყო სომოსელთა ბანდებისათვის ყოველგვარი ამერიკული დახმარების გაწევა.

1984-1985 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს მაშინდელი თანამშრომლის პოდპოლკოვნიკ ოლიეერ ნორტის საერთო ხელმძღვანელობით განხორციელებული სარჩული გამოამზეურეს ჟურნალისტებმა დენის გერსტენფინმა და ვინს ბიელსკიმ სტატიაში, რომელიც ნიუ-იორკის ჟურნალ „სპანში“ გამოქვეყნდა. ავტორებმა თავად გამოიძიეს „ნორტის საიდუმლო ქსელის“ მოქმედება, ათობით ინტერვიუ ჩამოართვეს მის უშუალო მთანამშრომლებს, კერძოდ, წერენ:

„იატაკქვეშა ქსელში შედიოდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და პენტაგონის ახლანდელი და ყოფილი თანამშრომლები, აგრეთვე იარაღის ვაჭრები, რომლებიც ქმნიდნენ ფიქციურ კორპორაციებსა და საიდუმლო საბანკო ანგარიშებს კონტრრევოლუციონერთა და მთელ მსოფლიოში მთელი რიგი სხვა მემარჯვენე შეიარაღებული ფორმირებების დაფინანსებისა და მომარაგებისათვის. ოპერაციაში ერთ-ერთ საკვანძო როლს ასრულებდა მილიარდელი ჯორჯ მორალესი, სამხრეთ ამერიკაში ნარკოტიკების მსხვილი მოვაჭრე, რომელიც ახლა დაპატიმრებულია და სასჯელს იხდის. 1984 წელს მორალესმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს დაუდო გარიგება, რომ არ წაესწროთ დანაშაულზე — კონტრრევოლუციონერთა შეიარაღების ოპერაციებზე იმ პერიოდში, როცა მოქმედებდა კონგრესის მიერ ასეთი დახმარების აკრძალვა. ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დახმარებისათვის მიმართა მორალესის ტიპის ნარკოტიკების ვაჭრებს“.

ჯერ კიდევ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან შეხვედრამდე, წერენ ავტორები, მორალესს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კოსტა-რიკაში განლაგებულ კონტრრევოლუციონერთა ფორმირებებთან, და იყენებდა მათს „სტრატეგიულად განლაგებულ აეროდრომებს“ სატრანზიტო ბაზად ამერიკის შეერთებულ შტატებში კოკაინის გადასაზიდად და სანაცვლოდ ეხმარებოდა იარაღის შესყიდვაში. „როცა ეს შეიტყო ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, — ნათქვამია სტატიაში, — მისმა წარმომადგენლებმა მორალესს განუცხადეს: დიდად ვაფასებთ იმას, რასაც თქვენ აკეთებთო. შემდეგ კი სანქცია მისცეს ამ ოპერაციას. მორალესმა უშუალო ურთიერთობა დაამყარა კოსტა-რიკაში დაბანაკებულ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ადამიანებთან“.

„ვაძლევდი თვითმფრინაველსა და პილოტებს, ვუწევდი აგრეთვე სხვა ფინანსურ დახმარებას, — თქვა მორალესმა „სპინისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, — ჩვენი თვითმფრინავები ფლორიდიდან დაფრინავდნენ სალვადორის ილოპანგოს სამხედრო ბაზაზე, შემდეგ კოსტა-რიკაში. ყველა ინსტრუქციას ვაშინგტონიდან ვიღებდით“.

იმოწმებენ რა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წყაროებს, ავტორები წერენ, რომ „ნორტის ქსელთან პარტნიორობის“ პერიოდში მორალესი ყოველკვარტალურად კონტრრევოლუციონერთა ერთ-ერთ მეთაურს ფერნანდო ჩამოროს უგზავნიდა 250 ათას დოლარს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრებიდან. „ჩვენ გვითხრეს, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა გზით მივიღებთ ფულს იარაღის შესყიდვისათვის. მთავარია, რომ შეიარაღების მოწოდება გრძელდებოდეს, რათა კომუნისტებთან კონტრრევოლუციონერებს ბრძოლაში დავეხმაროთო“, — აღიარა მორალესმა.

● ჩრდილოეთ ირლანდია

შეტაკებანი ბელფასტში

დუბლინი. ბელფასტის კათოლიკური უბნები მოცულია მასობრივი მღელვარებით. ბევრგან გაჩნდა ხანძრები, იწვოდა ავტომობილები. ხელკეტებით შეიარაღებული და პლასტიკით შეჯავშნული პოლიცია აპატიმრებდა ხალხს.

ახლანდელი ძალმომრეობა პოლიციის პროვოკაციული მოქმედების კანონზომიერი შედეგია, რომელიც ორი დღის განმავლობაში ხელს უშლიდა ლოიალურ მარლის დაკრძალვას. იგი ამ დღეებში მოკლეს პროტესტანტული ტერორისტული ორგანიზაციის წევრმა არამზადებმა.

ორი დღის წინათ, გამოსვენებამდე, მოკლულის სახლთან დადგა ორმოცდაათამდე ხელკეტებით აღჭურვილი პოლიციელი. ოლსტერის პოლიციის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ეს იმისათვის გაკეთდა, რომ არ დაეშვათ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის — ამ ნახევრად სამხედრო ორგანიზაციის ძალის დემონსტრაცია, რომელიც იბრძვის ოლსტერში ინგლისის სამხედრო ყოფნის წინააღმდეგ. შეტაკების თავიდან აცილებისათვის მარლის ოჯახმა გადაწყვიტა გასვენება მეორე დღისათვის გადაედო.

მაგრამ ერთი დღის შემდეგაც მათ სახლს ალყა შემოარტყეს პოლიციის რაზმებმა. როცა მიცვალებული ქუჩაში გამოასვენეს, დაიწყო პოლიციის შეტაკება გასვენების მონაწილეებთან. რამდენიმე კაცი დაიჭრა, სამგლოვიარო ცერემონია ჩაიშალა, გასვენება კი კვლავ გადაიდო.

მომხდარი ამბები თვალნათლივ გვიჩვენებს მეთოდებს, რომლებითაც ოლსტერის პოლიცია ამყარებს „კანონსა და წესრიგს“. ლონდონის მიერ შემოღებული რეპრესიული კანონმდებლობა პროვინციის მკვიდრ მცხოვრებლებს პოლიციისა და სასამართლოს თვითნებობის უუფლებო მსხვერპლად აქცევს. პოლიციელთა მოქმედება, რომლებმაც არსებითად ორი დღის განმავლობაში ხელი შეუშალეს ლ. მარლის დასაფლავებას, დაიცვა ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრმა ტომ კინგმაც.

ამ მოვლენებმა ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური თემის პროტესტები და აღშფოთება გამოიწვია. სტიქიური მიტინგების მონაწილეებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს პოლიციის მოუთრიდებელი და შეურაცხმყოფელი მოქმედების წინააღმდეგ. „წესრიგის“ გუშაგთა მოქმედება დაგმო ჩრდილოეთ ირლანდიის სოციალ-დემოკრატიული ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯონ ჰიუმმა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ღირსეულად დაასაფლაონ, თქვა მან.

● აშშ

მზაკვრული ზრახვები

კენტაგონი ორბიტული სადგურის გამოყენებას აპირებს

ვაშინგტონი. პენტაგონი აპირებს სამხედრო მიზნებით გამოიყენოს ორბიტული კოსმოსური სადგური, რომელსაც შეერთებული შტატები ქმნის. ამას მოწმობს თავდაცვის მინისტრის კასპარ უაინბერგერის წერილი სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცისადმი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთი კომიტეტში გამართული მოსმენის დროს წაიკითხეს. პენტაგონის შეფი მოითხოვს უარის თქმას იმ სახელმწიფოებთან თანამშრომლ

ორიოდ სიტყვით

◆ **1987 წლის** 8 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1834“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

◆ **საბჭოთა** კავშირის ლათინური ამერიკის ხალხებთან სოლიდარობის კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის გამგეობამ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ მანაგუის საბავშვო ცენტრის შექმნაში. ეს ცენტრი გათვალისწინებულია ნიკარაგუელი ბავშვებისათვის, რომელთა მამები დაიღუნენ კონტრრევოლუციონერთა ბანდებთან ბრძოლაში. საბავშვო ცენტრისათვის განკუთვნილი სამედიცინო მოწყობილობა და ინვენტარი გაეგზავნება ნიკარაგუის სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის ასოციაციას.

◆ **თბილისს** გორკის სახელობის კულტურისა და ტექნიკის რესპუბლიკურ სასახლეში გამართულ თემატურ საღამოზე გამარჯვებულად დაასახელეს ყველაზე ნორჩი გამომგონებელი, თბილისის № 52 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი ვალერი ხარიტონაშვილი. მის „ანგარიშზეა“ ორი საავტორო მოწმობა, ხოლო კიდევ შვიდი განაცხადი გაგზავნილია მოსკოვში განსახილველად.

შეკრებილთა ყურადღება მიიპყრო ორმხრივ რიკსახერხმა დაზგამ, რომელიც ქუთაისის № 18 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა თამარ ღობაძემ შექმნა. ეს სიახლე საუკეთესოდ აღიარეს მოსკოვში გამართულ საკავშირო გამოფენაზე, მისმა ავტორმა კი საპატიო პიონერისა და სსრ კავშირის ნორჩი გამომგონებლის წოდება დაიმსახურა.

◆ **ლაკაბინარ,** დიდი შეშფოთებით აღევნებენ თვალყურს საბჭოთა ადამიანები ლაფაიეტ-პარკში ამერიკელი ასტროფიზიკოსის ჩ. ჰაიდერის მამაცურ ვახტს.

ქარხნებსა და ინსტიტუტებში, სკოლებსა და ორგანიზაციებში მშვიდობის მომხრეებმა შექმნეს ჩ. ჰაიდერთან სოლიდარობის საგუშაგოები, მთელი კოლექტივები აწერენ ხელს პრეზიდენტ რეიგანისადმი გასაგზავნ პეტიციებს, რომელებშიც მოითხოვენ იხსნან ამერიკის სახელოვანი შვილი.

◆ **ლონდონის** უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრი დეივისი მერვედ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ეს ნაკარნახევია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებისადმი პროფესიული და ადამიანური ინტერესით — მეცნიერი სწავლობს აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკას და ეკონომიკას.

◆ **რუსთაველებს,** რომელებსაც სურთ მიიღონ მოგზაურები მძღოლის მოწმობა, ამიერიდან აღარ მიეჩქარებათ ადგილობრივი დოსაააფის ქაღაქის განაპირას მდებარე ავტოსკოლისაკენ, არც სამსახურიდან დათხოვნა სჭირდებათ. ზუსტად დანიშნულ და შემსწავლელთათვის მოსახერხებელ დროს პირდაპირ საწარმოს გასასვლელთან მოგის მოძრავი ავტოკლასი. აქ არის თეორიული კურსის გასავლელად საჭირო ყველა თვალსაჩინო სახელმძღვანელო ღ. პრაქტიკული ტარების ჩვევებს კი საწარმოს ახლომდებარე ტრასაზე სწავლობენ.

◆ **ბოგდანოვკაში** მწყობრში ჩადგა ახალი კომფორტული სასტუმრო, რომელიც ოთხმოცდაათი სტუმრისათვის არის გათვალისწინებული. სასტუმრო მათ სთავაზობს კეთილმოწყობილ ნომრებსა და ყოველდღიურ სერვისს. სოფლებში თორიასა და სათხეში აშენდა ახალი სკოლები, განძასა და ფოკაში აიგო კულტურის სახლები. დასახულია უახლოეს დროში რაიონში აშენდეს ან გადაკეთდეს სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ათობით ობიექტი.

◆ **მაღე** კომბაინერის პროფესია ყურძნის მკრეფავებსავ გამოადგებათ. ორჯონიკიძის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა შექმნეს ვკ-2 კომბაინი, რომელსაც შეუძლია რთვლის მექანიზაცია. მანქანას სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა სერიული გამოშვების რეკომენდაცია მისცა. მან გამოავლინა კარგი ტექნოლოგიური და ეკონომიკური თვისებები. კომბაინი დიდმწარმოებლურად მუშაობს და მარტივი სამართავია, სულ ერთი კაცი ემსახურება. კომბაინი ვვლის 80-100 მუშას, ამასთან არავითარ ზიანს არ აყენებს თვით ვაზს. ათ საათში აგრეგატს შეუძლია ხუთ ჰექტარზე მოკრიფოს ყურძენი.

◆ **მუშაობის** საღღეამისო რეჟიმზე გადავიდა საწარმოო გაერთიანება „თბილისპურის“ ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე საფირმო მაღაზია. დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეძლებენ ახლა თბილისელები იყიდონ ვხელცხელი, სურნელოვანი ქართული პური. ეს შესაძლებელი გახდა საწარმოს რეკონსტრუქციისა და სამცვლიან მუშაობაზე გადაყვანის შედეგად.

11-12 აპრილი ხსოვნის დღეა

სურათზე: გიორგი ახვლედიანი იყალთოს აკადემიის ნაფუძარზე. 1968 წელი, აპრილი.

ა. ბროდსკის ფოტო.

▲▲

ჩვენი მოძღვარი

ბალე საუკუნის მეოთხედი შეუსრულდება იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტს. თვალს ვავლებ განვლილ პერიოდს და გული სიამაყით მევსება, როცა ვიგონებ ჩვენს შეფებს: ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებმაც კეთილშობილური მისია იკისრეს, კვლავ დაანთეს ცოდნის ჩირაღდანი ძველი აკადემიის ნაფუძარზე. ბედნიერება გვქონდა მათთან ერთად გვეფიქრა, გვესაუბრა, დაგვესახა მომავლის გეგმები. **შოთა მესხია, გიორგი წერეთელი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ნიკო კეცხოველი, შალვა ამირანაშვილი, ილია ვეკუა, გიორგი ძოწენიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი თოიძე, რაფიელ დვალი, იოსებ ნონეშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, პაატა გუგუშვილი, ივანე ლოლაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, ვასო გოძიაშვილი, სპარტაკ ბალაშვილი, გიორგი ყურაშვილი, დავით ბაქრაძე, დავით ჯაბიძე** — აი ვინ ჩამდიოდა ჩვენთან, ვისთან გვქონდა საქმე, ვინ გვამშვენებდა... ახლა ისინი ჩვენს მორის აღარ არიან, შეუცვლელნი, განუმეორებელნი. ყოველი მათგანი დღეს ძალიან გვაკლია...

ამას წინათ 1987 წლის ქართული კალენდარი გადავფურცლე, 13 აპრილით დათარიღებულ ფურცელზე დაბეჭდილია: „100 წლის წინათ დაიბადა გიორგი ახვლედიანი, ქართველი საბჭოთა ენათმეცნიერი...“

წაკითხვა ეს და ბატონი გიორგი გამახსენდა.

აკადემიოსი გიორგი ახვლედიანი მარტოოდენ თავისი პროფილით გატაცებული მეცნიერი არ იყო, იგი უპირველესად მეცნიერი მოღვაწე ბახლდათ.

არაერთხელ მომისმენია მისი გულწრფელი და მგზნებარე გამოსვლა საზოგადოება „ცოდნის“ ტრიბუნიდან, რომ „საჭიროა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია ხშირად გავიდეს პერიფერიებში და ეოცახლი სიტყვა უთხრას ხალხს“. ამ მხრივ იგი ყოველთვის მაგალითის მიმცემი იყო.

ქართული მეცნიერების პატრიარქი ჩვენი მოამაგიე იყო — სახალხო უნივერსიტეტის დაარსების დღიდან ხშირად ჩამოდიოდა იყალთოში. და როგორ ეხდებოდა ძველი აკადემიის ნანგრევებს გიორგი ახვლედიანის გამოჩენა, მისი ლექციო-მოხსენებები. ახლაც მესმის მისი ხმა იდუმალი, „ყველაზე ძვირფასი, რაც კი ქართველ ხალხს გააჩნია, მატერიალურსა თუ სულიერ კულტურაში — ქართული ენა, და მისი დაცვა, მისი მოვლა, ყოველი ჩვენგანის წმინდა ვალია“.

იგი მუდამ გამორჩეული ყურადღებით ეკიდებოდა იყალთოურ საქმეებს. გამორჩეული გახლდათ თავადაც, თავისი ბუნებით — განსაკუთრებული სითბოთი, სიკეთით ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს.

გიორგი ახვლედიანი! — ყოველივე ახლის მოზიარე, თანაავტორი, ჩვენი მხარდამჭერი და დამხმარე.

გვახსოვს, რა აღფრთოვანებული იყო, როცა გავუზიარეთ ენის სიწმინდის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის ამბავი. შემდეგ კონფერენციაც გავმართეთ ამ თემაზე. ერთხელ კი სამეცნიერო სესიის მოწყობის შესახებ არ შეგვატყობინეთ (ავადმყოფობდა და მოგვერიდა, გზას არ დაიღალა). მაინც გაეგო, თბილისელ კოლეგებს გამოეპარა, ყველას დაასწრო, ჩამობრძანდა და ჩვეულებრივ, ოლიმპიური სიმშვიდით, სესიის გაძღოლაც თავად იკისრა.

რომელი ერთი გავიხსენოთ.

აი, სახალხო უნივერსიტეტის შთაბეჭდილებათა წიგნი. ბატონ გიორგის ოქროხელით ჩაუწერია:

„1964 წლის 12 ივლისი მარად დაუვიწყარი იქნება, ალბათ, არა მარტო ჩემთვის, რადგან ყოველივე აღმაფრთოვანებელი იყო: კულტურის სახალხო უნივერსიტეტი— ეს საბჭოური სინამდვილის დიდი მონაპოვარი, შოთა რუსთაველის — ჩვენი მარადიული დიდების — სახელობისა; იყალთოში — კახეთის გულში, ჩვენი ძველი მეცნიერების კერაზე, თეორიული კონფერენცია თემაზე: „დავიცვათ ქართული ენა — ამ ჩვენი უდიდესი განძის — სიწმინდე“ დამსწრეთა მოზღვავება; კონფერენციის სანიმუშო ორგანიზაცია, სანიმუშო დისციპლინა თვით მრავალრიცხოვანი დამსწრე ბავშვებისაც კი, ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებები პროფესორ შოთა ძიძიგურისა და დოცენტ ზურაბ ჭუმბურიძისა, დამსახურებული ექიმის შალვა შათირიშვილის ფრიად საყურადღებო დაკვირვებები სალიტერატურო ქართულზე. საგულისხმო გამოსვლები კამათში პედაგოგების არჩილ შიმშანაშვილისა და თამარ უმცროსაშვილის, სტუდენტ სოსო ჩხუბიანაშვილისა.

ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი ძველი და ახალი კულტურის კავშირის.

რაც ვნახე და განვიცადე, თავდები სახალხო უნივერსიტეტების განვითარებისა და კულტურის აყვავებისა...“

და უახლოესი წარსული დღეები მხოლოდ ტკბილ მოგონებადღა დგგრჩა.

გ. ზათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

...ავთანდილ სერგოს ძე ბუხაიძე. დაბადებული 1963 წელს, ქუთაისელი, დაამთავრა 21-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც შენებლებს ამზადებს; კომკავშირელი; დედ-მამა ავეჯის კომბინატში მუშაობს. ძმა, რომელმაც აგრეთვე პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, ამჟამად სტუდენტია, და გათხოვილია, თვითონ 1982 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა ავღანეთში, დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, ამჟამად მუშაობს ავეჯის კომბინატში...

აი, მოკლედ ავთანდილის — ოთხმოციანი წლების ახალგაზრდობის ერთ-ერთი ჩვეულებრივი წარმომადგენლის ცხოვრების გზა, თუმცა არც მთლად ჩვეულებრივი: ყველას როდი უწყობს ცხოვრება ასეთ მკაცრ გამოცდას, ყველას როდი მიუღია საბრძოლო ნათლობა სიკვაბუკისას, ყველას მკერდზე როდი აკიაფებულა მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

—საბჭოთა არმიის რიგებში რომ გამიწვიეს,—იხსენებს ავთანდილი, — ავღანეთის ერთ-ერთ ქალაქში მოვხვდი. ათეული, რომელსაც ვმეთაურობდი, მრავალეროვანი იყო, ერთი სიმაღლის დაცვა მოგვიხდა, უკუნი ღამე იყო. ირგვლივ სიმყუდროვე სუფევდა. უცებ შევამჩნიე, რომ ბანდიტები გვიახლოვდებოდნენ. ეს ბიუმბს საიდუმლო ნიშნებით ვაცნობე. წუთიც და, ექვსკაციანი ბანდა გაგრეცენი. „ნამყო და ნაარზრავი“. მე-8 ნაწილი. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „თანამგზავრობა“. ტელეჟურნალი. 19.45— მოგზაურთა კლუბი. 20.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — პოეზია. ე. შეველიოვა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სპორტული აკრობატიკა. 23.25 — ირაკლი ანდრონიკოვი. „რუსული ტროიკის შესახებ“. 0.35 — ახალი ამბები.

ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი

▲▲

ქვეყნად უღრუბლო ცისათვის

ვთოკეთ, ჩვენ ყველანი უვნებელი გადავრჩით. აი, ამ დამსახურებისათვის დამაჯილდოვეს მედლით.

ასეთი ეპიზოდები სხვებიც ახსოვს. ერთხელ, მორიგი ოპერაციის შემდეგ, გვიან ღამით ნაწილში ბრუნდებოდნენ, გაჩერებულ ავტომანქანასთან ხალხი შეჯგუფებულიყო, როგორც კი მიუახლოვდნენ, შეგროვილი ხალხი უცებ გაიფანტა და სროლა დაუწყეს.

— სასწრაფოდ ჩავწექით, თავის წამოწევის საშუალებას არ გვაძლევდნენ, გვიშენდნენ ავტომატებს, ხელყუმბარებს, სწორედ ამ დროს მოგვეშველნენ საბრძოლო ვერტმფრენები და ტანკები, დუშმანები გაფანტეს. ასე გვიხსნეს განსაცდელისაგან.

— ენა ვერ აწერს, რა საზიზღრობას არ ჩადიოდნენ დუშმანები, ავღანელი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, განაგრძობს ავთანდილი, — სახლებს წვავდნენ, არ ინდობდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. რამდენჯერ მინახავს მათ მიერ ყელგამოღადრული ბავშვები... გახსენებაც მძიმეა.

სამშობლოს ვალი, ინტერნაციონალური ვალი მოხდილია. უკან დარჩა სამხედრო სამსახური. დადგა სადაგი დღეები. ქუთაისში დაბრუნდა, მშობლების კვალს დაადგა. ქუთაისის ავეჯის საწარმოში მუშაობს, ექსპერიმენტულ საამქროში აწყობს ავეჯს „ქუთაისი-3000“.

კომკავშირელი ავთანდილ ბუხაიძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, იგი კომკავშირის ლენინის რაიკომთან არსებული ახალგაზრდა პატრიოტ-ინტერნაციონალისტთა კლუბის წევრია. კლუბის პრეზიდენტი კი სატრაქტორო ქარხნის წარჩინებული მუშა, აგრეთვე ავღანეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების მონაწილე და საბრძოლო მედლების კავალერი გოჩა ჩუბინიძე გახლავთ.

...მშვიდობიან, დაძაბულ შრომაში გადის სამუშაო დღე. და საღამო ხანს, როდესაც სამსახურიდან სახლში მიმავალი ავთანდილი ხედავს მხიარულ ახალგაზრდობას, მათს გაცისკროვნებულ სახეებს, უნებლიეთ ახსენდება ავღანეთის ამბები და განსაკუთრებით ხელშესახებად გრძნობს, თუ რაოდენ დიდი ბედნიერებაა ულრუბლო ცის ქვეშ ცხოვრება.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



გ. სანაიას („კომუნისტი“) და გ. კიკვაძის (საქინფორმი) ფოტო.



ჯილდო ქართულ ფილმს

საფრანგეთიდან, სადაც ქალაქ კემპერში 20-დან 29 მარტამდე მიმდინარეობდა ტრადიციული კინოფესტივალი დევიზით „კინო, როგორც ხელოვნება“, დაბრუნდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი. მის ფილმს „საფეხურს“ მიენიჭა კინოდათვალიერების ერთადერთი სპეციალური პრიზი „ფესტივალის საუკეთესო ფილმი“.

ახლანდელი, სათვალავით მეოთხე ფესტივალი მთლიანად საბჭოთა კინოს მიეძღვნა. ამან განაზღვრა კიდეც მისი სახელწოდება: „ახალი საბჭოთა კინო“. ქართველი, რეჟისორი ფესტივალზე წარდგა ფილმებით „ნუცა“, „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, „გზა შინისაკენ“ და „საფეხური“.

ეს სიახლეა

„მერცხლებიც“ გამოჩნდნენ

ძალას იკრებს გაზაფხული. მზეც შეთამამდა. მწვანით იმოსებიან პარკები თუ სკვერები. საცაა კუდმაკრატელებიც მოფრინდებიან, თუმცა, თბილისელნი უკვე გამოჩნდნენ „მერცხლები“.

რატომ ვსვამთ ამ სიტყვას ბრჭყალებში? რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით. სინამდვილეში კი ავტობუსს ვგულისხმობთ — ჩვეულებრივ უსულო საგანს. თუმცა, რატომ ჩვეულებრივს? ამ შემთხვევაში ხომ...

მართლაც რომ, გაზაფხულის მახარობლებივით გამოჩნდნენ თბილისის უბნებში კრიალა „იკარუსები“, რომელთაც ერთობ უჩვეულო მისია — მოძრავი სასადილოს ფუნქცია დაეკისრათ.

ამიტომაც არ წარმოადგენენ ისინი ჩვეულებრივ ავტობუსებს, და თვლებანი სასადილოებიც ამიტომ უწოდეს.

ეს უკვე სიახლეა ჩვენს დედაქალაქში. თანაც სასიამოვნო სიახლე.

აი, რა უთხრა ამის თაობაზე ჩვენს კორესპონდენტს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა მელორ ტყეშელაშვილმა:

— თბილისში პირველად გამოვიყენეთ ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების „იკარუსის“ მარკის 5 ავტობუსი მოძრავ სასადილოდ — სისტემის მძღოლთა კვების გასაუჯობესებლად.

გარეგნულად გემოვნებით გაფორმებულ ავტობუსებში დამონტაჟებულია სათანადო მოწყობილობანი — მაცივარი, წვენების გასაცივებელი აპარატი, ელექტროლუმელი, კონდიციონერი და სხვა. სალონში მოხერხებულადაა განლაგებული მაგიდები და სკამები. მსუბუქი მუსიკაც სასიამოვნო განწყობილებას ქმნის. და, რაც მთავარია, აქ მუდამ სისუფთავე და სიმყუდროვეა.

ჯერჯერობით მოძრავ სასადილოებს მხოლოდ კუს ტბის ასასვლელთან, ქარხანა „ელვასთან“, კინოთეატრ „ნაკადულთან“, მეტრო „სამგორთან“ და ქარხანა „მიონთან“ შეხვდებით. ობიექტები ვაჭრობენ კომპლექსური კერძებით, ცივი საუზმით, მინერალური წყლებითა და ხილეული წვენებით, საკონდიტრო ნაწარმით, ბუტერბროდებითა და ფუნთუშეულით... აქვე რძის პროდუქტებით, ლულა-ქაბაბით, ხორციანი ღვეზელებითა და სხვა ცხელი კერძებითაც გაგიმასპინძლდებიან.

შემთხვევითი როდია, რომ სასადილო-ავტობუსებს სწორედ მასობრივი თავშეყრის ადგილებში მივუჩინეთ ბინა. მათ ძალზე ეფექტიანად ვიყენებთ აგრეთვე სპორტული თუ სხვა ღონისძიებების დროს. მაგალითად, თბილისის „დინამოს“ ტიუმენში ჩადგილობრივ „პეროლოგთან“ გამართულ კუთბიშევში კი ქუთაისის „ტორპედო“ „კრილია სოვეტოვთან“ ითამაშებს. ეს შეხვედრები გაიმართება 14 აპრილს.

თაბისუფალი ჭიდაობა. სსრ კავშირის ნაკრებმა მორიგი, მესამე მატჩი აშშ-ის გუნდთან ქალაქ პორტლენდში გამართა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა — 7:3. შეგახსენებთ, პირველი სამატჩო შეხვედრა საბჭოთა ათლეტებმა მოიგეს ანგარიშით 7:3, მეორე — 10:0.

რბენა. გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ალენდარული მატჩების შედეგებს: თბილისის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „სლავა“ — 10:3, ალმა-ათის ბაკლენინგრადის „პრიმორეეი“ — 22:6, თბილისის „შევარდენი“-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაქსტრორი“ — 3:22, ქუთაისის „მშენებელი“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 13:6.

ყაბალი

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გამიმართა ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები. **ევროპის ჭიუნების ჩემპიონთა თასის გათამაშების** პირველი ნახევარფინალური შეხვედრა კიევის დინამოელებს სტუმრად, პორტუგალიის „პორტოსთან“ მოუწიათ. ეს მატჩი ერთობ საინტერესოდ წარიმართა და იგი მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 2:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა იაკოვენკომ (73-ე წუთზე), პორტუგალიელთაგან — ფუტრემ (49) და ანდრემ (57; პენალტით). ამავე თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი ასე დამთავრდა: „ბაიერნი“ (გფრ)-„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — 4:1. გთავაზობთ სხვა ნახევარფინალური შეხვედრების შედეგებსაც: **თასების მფლობელთა თასის გათამაშება.** „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი)-„აიაქსი“ (ჰოლანდია) — 2:3, „ბორდო“ (საფრანგეთი)-„ლოკომოტივი“ (მგდრ) — 0:1; **უეფას თასი.** „გეტებორგი“ (შვეცია)-„სპარტაკი-ტროლი“ (ავსტრია) — 4:1, „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია)-„ბორუსია“ (გფრ) — 0:0. განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 22 აპრილს.

ბერძელი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერობენ ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, ნიკოპოლის „კოლოსი“, ოდესის „ჩერნომორეცი“ და იაროსლავლის „შინიკი“. ბათუმის „დინამო“ 2 ქულით მეშვიდე ადგილზეა. ქუთაისის „ტორპედოს“ 1 ქულა აქვს და ჯერჯერობით მეცხრამეტე ადგილზეა. მესამე ტურის მატჩს ბათუმის „დინამო“ ტიუმენში ადგილობრივ „პეროლოგთან“ გამართავს, კუთაისშევში კი ქუთაისის „ტორპედო“ „კრილია სოვეტოვთან“ ითამაშებს. ეს შეხვედრები გაიმართება 14 აპრილს.

თაბისუფალი ჭიდაობა. სსრ კავშირის ნაკრებმა მორიგი, მესამე მატჩი აშშ-ის გუნდთან ქალაქ პორტლენდში გამართა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა — 7:3. შეგახსენებთ, პირველი სამატჩო შეხვედრა საბჭოთა ათლეტებმა მოიგეს ანგარიშით 7:3, მეორე — 10:0.

რბენა. გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ალენდარული მატჩების შედეგებს: თბილისის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „სლავა“ — 10:3, ალმა-ათის ბაკლენინგრადის „პრიმორეეი“ — 22:6, თბილისის „შევარდენი“-კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაქსტრორი“ — 3:22, ქუთაისის „მშენებელი“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 13:6.

რედაქტორი
გ. გედენიშვილი.

გაფართოვდა კოოპერაციულ ბაზრობათა ქსელი

ქსანზე მიმდინარე კოოპერაციულ ბაზრობას უკვე მრავალი ეწვია და ქმაყოფილიც დარჩა აქ შეძენილი სამრეწველო, სამეურნეო, საოჯახო, სპორტული, საპარფიუმერიო, სგალანტერეო ნივთებისა და საქონლის ხარისხით.

ამოქმედდა ტრადიციული კოოპერაციული ზონალური ბაზრობებიც ქალსურში, მახინჯაურში, ქვეტირში.

ბაზრობაზე დიდი ადგილი ეთმობა სეზონური საქონლის ვაჭრობას.

ბაზრობები მუშაობს ყოველ შაბათ-კვირას დილიდან.

გვეწვიეთ, კმაყოფილი დარჩებთან!

ცეკავშირის გამგეობა, „საქკოოპრეკლამა“.

გეპატიჟებით ახალგაზრდულ ვიდეობარში

თბილისი-მარნეულის გზაკეცილის მე-14 კილომეტრზე, საჩკვების კოოპერატივ „თელეთში“ გაიხსნა ახალგაზრდული ვიდეობარი.

აქ უჩვენებენ საბჭოთა და საზღვარგარეთის საუკეთესო შემსრულებელთა კონცერტებისა და მულტფილმების ვიდეოჩანაწერებს.

სტუმრებს სთავაზობენ გამაგრილებელ სასმელებს, წვენებს, ყავას, სხვადასხვა ტოქტეილს, საკონდიტრო ნაწარმს, ხილს.

ვიდეობარი „თელეთი“ მუშაობს ყოველდღიურად 14 საათიდან 22 საათამდე.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!

ცეკავშირის გამგეობა, „საქკოოპრეკლამა“.



10 აპრილი

ფაღიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (21-ე აბონ. მე-6 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კონცერტი ორი ვიოლინოსათვის ალმოსაფლური საკრავების თანხლებით;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჯაფოს ხიზნები;** მინიატიურების სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები;**



10 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.20 — მოამბე. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „პატარა მდინარე“. 15.00 — საინფორმაციო გამოშვება. 15.10 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.40 — ხსოვნის დღე — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ლადო გუდიაშვილთან“. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.40 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.10 — „ჩვენი ბაღი“. 17.45 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცვლა“. 18.00 განცხადებები. 18.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ვერნისაჟი“ (მარტიროს სარიანის გამოფენა). 18.45 — ლოთობას — დაუნდობელი ბრძოლა (განმეორებით). 19.10 — ხუთწლედი. წელი მეორე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00— მულტიპლიკაციური ფილმი „ნამდვილი მეგობრები“. 20.10 — „ადამიანი და კანონი“ (სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საჯაროობა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ტელევიზიის ერთობლივი მუშაობის მაგალითით) (მ.). 20.45 — მოამბე. 21.20 — „მისამართი — ხობის რაიონი“ (სტიქიის შედეგების ალიკვიდაციო საქმიანობა). 22.00 — „ვრემია“. 22.40— საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.45 — მხატვრული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.45 — მხატვრული ფილმი „მაპატიე, ალიოშა“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

10 აპრილი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.20 — მოამბე. 9.55 — **პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის.** 11.35 და 12.40 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 13.10 — მხატვრული ფილმი „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“. 14.40 — ფიზიკა. VIII კლასი. 15.40 — ახალი ამბები. 15.45 — ა. ი. ბროდსკის ფოტო. 16.35 — „ჩვენ ბაღი“. 17.45 — „ეროვნული ფერწერა“. 18.25 — დოკუმენტური ფილმი ალკოჰოლიზმის მკურნალობის შესახებ. 18.45 — „მშვიდობის გზა“. საბჭოთა კავშირში ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ყოფნის შესახებ. 19.15 — მაძიებელი ხასიათი. ბელორუსიის კომკავშირის შესახებ. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი „ციცინათელა“. 20.10 — ადამიანი და კანონი. 20.45 და 22.40— ჯარისკაცური სიმღერის ფესტივალი. 22.00 — „ვრემია“. 23.55 — დღეს მსოფლიოში. 0.10 — შეხვედრა კანადურ პოკეისტთან.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ტელეფილმი. 9.35 — „ურალელი მეზღარე“. პ. პ. ბაჟოვის ცხოვრება და შემოქმედება. 10.30 და 15.30 — ინგლისური ენა. 11.05 — **პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის.** 11.35 და 12.40 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 13.10 — მხატვრული ფილმი „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“. 14.40 — ფიზიკა. VIII კლასი. 15.40 — ახალი ამბები. 15.45 — ა. ი.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

მეგობართა გულის სითბო

კიევის ქუჩები თოვლის თეთრ სამოსელში იყო ჩაფლული, მზანინი თბილისიდან ზამთრის მკაცრ გარემოში მოხვედრა უეცარიც იყო და მოსალოდნელიც. უკრაინის საზოგადოებრიობა აღნიშნავდა დიდი რეჟისორის ლეს კურბასის დაბადების მეასე წლისთავს. იანვარში საქართველოში ჩვენ ვიზეიმეთ შესანიშნავი შემოქმედის სანდრო ახმეტელის დაბადების ასი წლისთავი და ამჯერად კი უკრაინელები პატივს აგებენ თავიანთ ლეს კურბასს, სანდრო ახმეტელის ძმადნაფიცს, მეგობარს, შემოქმედებითს თანამოაზრეს, ერთნაირი ჭირ-ვარამით შეკავშირებულთა...

უკრაინის მსახიობთა სახლში ორ დღეს მიმდინარეობდა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია. მოსკოველ და ლენინგრადელ მეცნიერებთან ერთად მეც მომიწია გამოსვლა მოხსენებით — „ლეს კურბასი და ქართული თეატრალური მოღვაწეები“. მოხსენებამ დამსწრეთა ინტერესი გამოიწვია, უწინარესად ხარკოველთა, რომელნიც ლეს კურბასის მიერ დაარსებულ თეატრ „ბერეზილის“ წამყვანი მსახიობები იყვნენ და კარგად ახსოვდათ კოტე მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების 1930 წლის გასტროლები ხარკოვში, 1931 წელს უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში. ისინი იხსენებდნენ ქართველთა მასპინძლობას, კოტე მარჯანიშვილთან, სანდრო ახმეტელთან, სხვა ქართველ თეატრალურ მოღვაწეებთან შეხვედრებს. მე მათ სევდიანი „სიურპრიზი“ გავუმხილე: ჩავუტანე თბილისიდან დიდი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის მოგონების ჩანაწერი ლეს კურბასის შესახებ.

მეორე დღეს კიევის ახალგაზრდულ თეატრში გამართულ საღამოზე თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლეს ტანიუკმა დამსწრეთ